სახალხო ფურცელი

დამფუძნებელი კრება შეიკრიბება სექტემბრის 30-ს. არჩევნები მოხდება სექტემბრის 17-ს.—დამთავრდა უკრაინელთა სამხედრო ყრილობა.—ფინლანდიის სეიმმა მიიღო კანონი ებრაელთა უფლების გათანასწორებისა.—კერენსკი კავკასიაში მოდის.—შავ ზღვაზე გემების მიმოსვლა განახლდა.—ბოლშევიკების მიტინგი დონის როსტოვში.—მოძრაობა ისპანიაში.

№ 891 შაბათი, 17 ივნისი 1917 წ. № 891

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ. კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო ფურცელში“ (ქ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა“ ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 8-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ფასი 10 კაპ.

ტელეფონი 12—29

ხარფუხში სოც.-ფედ. პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე, დილის და საღამოს 9 საათზე, პიპენ. ძის ბინაზე—სუმბათოვის ქუჩა № 7, ამ დროსვე აქ საუბრები იმართება ხოლმე სხვა და სხვა სადღეისო საკითხებზე.

შაბათს 17 ივნისს, დაბა ხონში სასაფლაოს ეკლესიაზე გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ანნა |ანიჩკა| პეტრეს ასულის სანაძის

სულის მოსახსენებლად რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დები: ეკატერინე პეტრეს ასული ვარდოსანიძისა, ლიუბა და მარიამ პეტრეს ასული სანაძეები, სიძე ონისიმე ვარდოსანიძე და დისწულები. 795.

კვირას, 18 ამა ივნისს, დაუვიწყარ ძვირფასი ძმის

ალოიზ ბოგდანის ძის შიხინოვის

გარდაცვალების წლის თავზე კათოლიკეთა ეკლესიაში, სომხის ბაზარზე, შუადღის 12 ს. გადახდილ იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დები: ბარბარე ბოგდანის ასული შიხინოვი და ლიუდმილა ბოგდანის ასული ტერ-პოღოსოვისა ქმრით და ბავშვებით და ძმები: პეტრე და ალექსანდრე ბოგდანის ძე შიხინოვებით. 726

მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა მისი დაუღალავი წევრი

ვლადიმერ იაკობის ძე ჩიმაკაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2034

მწუხარებით გულმოკლულნი მშობლები სოფიო დავითის ასული და ნიკოლოოზ კონსტანტინეს ძე ფურცელაძეები ბავშვებითა და მარიამ ნიკოლოოზის ასული ფურცელაძე აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ შაბათს, 17 ივნისს, საყვარელ შვილის, ძმის და შვილი-შვილის, ქართველ მსროლელთა პოლკის პრაპორშჩიკის

დავით (დათუშკა) ნიკოლოოზის ძის ფურცელაძის

სულის მოსახსენებლად სიკვდილის ნახევარ წლის თავზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 ს. 727

„ახალი საკრებულო“

საზაფხულო სადგომი, მიხეილის ქუჩა № 131.

შაბათს, 17 ივნისს, გაიმართება

საბავშვო საღამო

სხვა და სხვა გიმნასტიური სათამაშო, ცეკვა, მუსიკა და სხვა. სტუმრები საზოგადო წესით. სტუმრების ბავშვები იხდიან შესასვლელს 30 კ. დასაწყისი საღ. 6 საათზე. 2035

საჭიროა

წარმომადგენლები ჯამაგირით და პროცენტებით ყოველ ქალაქსა, სოფელსა, სადგურსა და სხვა ადგილობრივ პროდუქტების, სურსათის, სანოვაგისა და სხვ. საყიდლად. აგრეთვე მწვანილეულობა, საბაკალეინო, საგასტრონომიო და სხ., რომელიც საჭიროა გაჭირვებულ ადგილებისათვის და ყველაფერ იმისსაყიდელად, რასაც ადგილობრივ წარმომადგენელი ნახავს.

წინადადება გამოგზავნეთ: მოსკოვი, ს/ს. „ნ. ე. კუდრიავცევი ც კომპ.“ გავრიკოვის შესახვევი, (გერმანელების ბაზრის ქუთხე, ს. კალინინი, ტელეფ. 3—20—85, დეპეშის ადრესი: Аккуратъ Москва. 2011

ახალი დიდი **ცირკი** ახალი დიდი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი ახლად შენობა. კაპიტალური **საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00**

დღეს, 17 ივნისს, გაიმართება

დიდი სასპორტო წარმოდგენა.

გასტროლები ფენომენის ი. პეტროვისა. ადამიანი, რომელიც მიწის ქვეშ არის 20 წუთს. გასტროლი მ. ალიოშინისა. დებიუტი კრივცოვისა. გამოსვლა მუსიკის ექსცენტრიკოსებისა. **ჭიდაობს 6 წყვილი.** 1, შავ-ნიღაბიანი და ყარამანოვი, 2. კაფკას. ჭიდაობა ოგაძე და მაკაროვი, 3. რუსიშვილი და მოზინგი, 4. როლანდი და ერმაკოვი, 5. პუგაჩოვი და ჯოე-მორა, 6. ონო-ოკიტარო და შტრემი.

ანონსი: ახლო ხანში გაიმართება ბენეფისი ალიოშინისა. 721

ადგილობრივი კომისია და ტომსკელი ამხანაგები აცხადებენ, რომ კვირას. 18 ივნისს, დაიწყება

ქართველ სტუდენტთა კონფერენცია

საკითხები: 1) თანამედროვე მომენტის განმტკიცება და მისი სარგებლობა, 2) საქართველოს მომავალი ბედი და მასზე გადაბმული საკითხები, 3) შეძლება, თუ არა პარტიათა შორის საერთო პლადფორმის გამომუშავება, 4) ომი და ზავი, 5) მიმდინარე საკითხები, 6) სტუდენტთა ორგანიზაციის შექმნა. (იხილეთ ესევე გაზეთი). 706

ამიერკავკასიის გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტისაგან

19 ივნისს ტფილისში მოწვეულ იქნება ამიერკავკასიის გლეხთა წარმომადგენელთა კრება.

ყოველი სოფლის საზოგადოება, რომელშიაც ითვლება 5000-მდე მცხოვრები ანუ 1000-მდე კომლი ირჩევს და ჰგზავნის ამ კრებაზე თითო წარმომადგენელს: ხოლო ის სოფლის საზოგადოება, რომელშიაც 5000-ზე მეტი მცხოვრები ანუ 1000-ზე მეტი კომლი ირიცხება, ორ-ორ წარმომადგენელს.

წარმომადგენელს ირჩევენ ყველა მიწის მშრომელნი ხნოვანებით არა უმცირეს 18 წლისა, ქალი და კაცი, განურჩევლად ეროვნებისა. წარმომადგენლად შეიძლება ამორჩეულ იყოს ყოველი მოქალაქე-კაცი თუ ქალი, რომელთაც მიწის მშრომელნი მიანდობენ თავიანთ ინტერესების დაცვას.

ყოველ წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს თავის საზოგადოებისაგან მოწმობა ანუ სოფლის განაჩენი მასზედ, რომ იგი არჩეულია და იგზავნება გლეხთა კრებაზე 19 ივნისს, უასეთ მოწმობოდ ანუ უასეთ განაჩენოდ, წარმომადგენლებს არ ექნებათ ხმის უფლება კრებაზე.

წარმომადგენლებს მიეცემათ ტფილისში უფასო ბინა. დაწვრილებით ცნობებისათვის მსურველთ უნდა მიმართონ გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტს: კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში, ბარიატინსკის ქუჩა, № 5. 2013.

ქ. ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო დეპუტატთა საბჭოს

დადგენილება:

შემთანხმებელ კომისიისა, რომელიც მოწვეული იყო ქ. ტფილისის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ ბიუროს პრეზიდიუმის სეკრეტარიატის მიერ და რომელშიაც მონაწილეობდნენ წარმომადგენელნი: 1) მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა; 2) ვაჭარმრეწველთა დეპუტატთა საბჭოსაგან, 3) პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ ბიუროს პრეზიდიუმისა და 4) სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში მომუშავეთა დადგენილება ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში სამუშაო დღის შესახებ. ძალაში შედის 1917 წ. 12 ივნისს.

§ 1. ვაჭრობა, როგორც ბითუმად ისე წვრილმანად ყოველ საწყობში, მაღაზიასა და სხვა დაწესებულებებში გრძელდება სამუშაო დღეს, გარდა ქვემოხსენებულ გამონაკლისებისა—8 საათს, სახელდობრ: ზაფხულობით დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და $4^{1}/_{2}$ ს. საღამოს $6^{1}/_{2}$ საათამდე. ზამთარს—დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 4—6 საათამდე.

§ 2. იმ სავაჭრო დაწესებულებებში, სადაც ჰყიდიან თევზეულობას და ხორც-ყველ-კარაქს ვაჭრობა სწარმოებს: ზაფხულობით დილის 7 საათზე. ნაშუადღევის 1 ს. და 4 ს. საღამოს 6 ს., ზამთრობით დილის 8 საათ. ნაშუადღევის 2—4 საათ., საღამოს 6 ს.

§ 3. ის მაღაზიები, სადაც ჰყიდიან ძეხვებს, საგასტრონომიო ნივთებს, საბაყლო ნივთებს და ყვავილებს იღებდა ზამთრობით დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათსა და საღამოს 5—7 საათამდე.

შენიშვნა: საბაყლო—ხილის მაღაზიებში ვაჭრობა ომის განმავლობაში იწარმოებს ნასადილევს 5—8 ს., ხოლო მოსამსახურეები უნდა განთავისუფლებულ იქმნენ სწორედ საღამოს 7 საათზე.

§ 4. სპეციალურ კანტორებს და ქარხნის და ფაბრიკების კანტორებში მოსამსახურენი მუშაობენ არა უმეტეს 6 საათისა განუწყვეტლივ. კანტორებში, სადაც მუშაობა ვაჭრობასთან არის დაკავშირებული, ე. ი. მაღაზიის კანტორებში, მუშაობა სწარმოებს ექვს საათამდე.

შენიშვნა: §§ 1, 2 და 4 აღნიშნული ზაფხული ითვლება 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე.

§ 5. ყოველგვარი ვაჭრობა და მოსამსახურეთა მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო-სამრეწველო საქმეებთან ყოველგვარ დაწესებულებებში—არ არის კვირაობით, ათორმეტ დღესასწაულს, აღდგომის პირველ სამს დღეს, შობის ორ დღეს, ახალ წელიწადს და აგრეთვე რევოლიუციის დღესასწაულებში.

შენიშვნა: 1 ომის განმავლობაში ხსენებულ უქმე დღეებში ვაჭრობა იქნება 8—10 ს. დილისა, რისთვისაც მოსამსახურეებს უნდა მიეცესთ დღის ნახევარი ჯამაგირი.

შენიშვნა: 2. ზემოხსენებულ პარაგრაფში დასახელებული ათორმეტი დღესასწაული შემდეგია: მირქმა უფლისა—2 თებერვალს, ხარება—25 მარტს, ამაღლება, სულის წმინდის მოფენა, ფერისცვალება—6 აგვისტოს, მიძინება ღვთის მშობლისა, ღვთისმშობლის დაბადებისა, 8 ენკენისთვეს, ჯვარის აღმართვა 14 ენკენისთვეს და მიყვანა ტაძრად წმ. ღვთის მშობლისა 21 ნოემბერს.

§ 6. ყოველგვარი ვაჭრობა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში, მაღაზიებში, საწყობებში და მაღაზიის კონტორებში შაბათობით უნდა თავდებოდეს სადილობისას.

შენიშვნა: ეს მუხლი ძალაში შედის ომის გათავებისას.

§ 7. სავაჭროების დაკეტვის 15 წუთის წინ მაღაზიებში უნდა გამოჰკიდონ პლაკატები „მაღაზია დაკეტილია“. დაკეტვა იმასა ჰქვიან, რომ წინ კარები დაკეტილი იქნება ბოქლომით და თანაც წარწერა ექნება: „მაღაზია დაკეტილია“.

შენიშვნა: მაღაზია-სავაჭროების პატრონებმა უნდა გამოჰკიდონ პლაკატები ვაჭრობის დაწყების და გათავების დროის შესახებ და აგრეთვე მოწოდება რომ ყველამ დასტოვოს მაღაზია დაკეტვის ჟამს.

2008 **ტფილისის საბჭო სავაჭრო-სამრეწველო დეპუტატებისა.**

ტფილისი, 17 ივნისი 1917 წ.

მ. და ს. საბჭოების ყრილობა. აგერ ორი კვირაა, რაც პეტროგრადში შეკრებილნი არიან მთელი რუსეთის მუშათა და სალდათთა საბჭოების დელეგატები. ამ ყრილობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის რევოლიუციისათვის. აქ არიან თავმოყრილნი რევოლიუციონური დემოკრატიის და ჯარის რწმუნებულები და მათ ხმაზე, მათ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას მიიღებს რევოლიუციის მიმდინარეობა, რის განხორციელებას უნდა მოველოდეთ ახლო მომავალში.

ყრილობას ბევრი საქმე აქვს განსახილველი: ომი და ზავი, აგრარული საკითხი, ეროვნული საკითხი, მუშათა ცხოვრება, სურსათი, წარმოების მოწყობა, ფინანსები, ადგილობრივი თვითმართველობა, მომზადება დამფუძნებელი კრებისთვის და სხ. ერთის სიტყვით. ყრილობამ უნდა გაარჩიოს და გაარკვიოს თითქმის ყველა ეს საკითხი, რომელიც შეადგენს დღევანდელი მომენტის შინაარსს. ჯერ-ჯერობით ყრილობამ განიხილა მხოლოდ ორი საკითხი ომისა და კოალიციური მთავრობის შესახებ. ამ საკითხებმა უკვე გამოაშკარავეს ძალთა გან[illegible] ყრილობის შემადგენლობის. უმრავლესობა ეკუთვნის მენშევიკების და სოც.-რევოლიუციონერების ბლოკს, რომელიც მხარს უჭერს ეხლანდელ მთავრობას და საზოგადოდ იცავს ფრთხილს, ზომიერს, გაუბედავს, ხშირად მეტად გაურკვეველს პოლიტიკას.

მემარცხენეები ანუ უკედ რომა ვსთქვათ უკიდურესი მემარცხენეები შედარებით სუსტნი არიან ყრილობაზე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ როცა ორი თვის წინად კერძო თათბირი ჰქონდათ მ. და ს. საბჭოების წარმომადგენლებს, უკიდურესი ფრთის ხმა სრულებით არ გაისმოდა. დღეს კი ყრილობაზე სერიოზული ოპოზიციაა რომელსაც ისეთი თვალსაჩინო ლიდერები ჰყავს, როგორიცაა ლენინი, ლუნაჩარსკი, ტროცკი, მარტოვი, კამენევი და სხ. ზოგს მათ განცხადებას ყრილობა დიდის ყურადღებით ისმენს და ანგარიშსაც უწევს.

მ. და ს. საბჭოების ყრილობა უეჭველია პარლამენტის მაგიერობას თამაშობს. მის დიდს ნაკლს ის წარმოადგენს, რომ იქ არ არიან გლეხთა საბჭოების წარმომადგენლები და ეს მეტის მეტს უხერხულობას ჰქმნის. შეუძლებელია დემოკრატიის პარლამენტში თავისი რწმუნებული არ ყავდეს 75 მილიონ გლეხობას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე მომავალში ეს გასწორებული იქნება და მუშათა და სალდათთა დეპუტატებს გვერდში ამოუდგებიან გლეხთა დეპუტატებიც. ის მაინც დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, რომ აღმასრულებელ კომიტეტში, რომელსაც აირჩევს ყრილობა, აუცილებლად შევიდნენ მთელი რუსეთის გლეხთა საბჭოს წარმომადგენელნი, მაშინ აღმასრულებელი კომიტეტი დემოკრატიის საყოველთაო ნდობით იქნება აღჭურვილი, მეტი ავტორიტეტი და გავლენა ექნება ყოველს მის გადაწყვეტილებას.

ბურჟუაზიული წრეები ოქტომბრისტებისა და კადეტების მეთაურობით ირაზმებიან, რომ შეაჩერონ რევოლიუცია და თუ შეიძლება უკანაც დაახევიონ. ამიტომ ფრიად საჭიროა დემოკრატიის მტკიცე კავშირი, მკვიდრი ორგანიზაცია, რომ მედგარი პასუხი გასცეს კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს. მთელი დემოკრატია უნდა შეიკრიბოს მუშათა, გლეხთა და სალდათთა საბჭოების და მათი მთავარი ორგანოს, აღმასრულებელი კომიტეტის გარშემო. მთავრობაც, როგორიც უნდა იყოს ის, აუცილებლად უნდა დაემორჩილოს ამ კომიტეტს, ან უნდა იყოს ამ კომიტეტის რწმუნებული.

დამფუძნებელი კრების მოწვევა. დეპეშამ გუშინ მეტად მნიშვნელოვანი ცნობა მოიტანა. დროებითი მთავრობა აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრება უნდა შეიკრიბოს სექტემბრის 30-ს, ხოლო არჩევნები უნდა მოხდეს ამავე თვის 17-ს.

მთელი რუსეთი მოუთმენლად მოელოდა ამ დღის გამოცხადებას. დამფუძნებელი კრება საბოლოოდ განამტკიცებს რევოლიუციის მოპოვებულ უფლებებს და ააგებს ახალს სახელმწიფოებრივ წესწყობილებას მოქალაქეთა და ერთა თავისუფლებასა და თანასწორობაზე. დამფუძნებელი კრება მოაწესრიგებს უდიდეს საკითხს მიწის განსაზოგადოებრივობის შესახებ და უზრუნველჰყოფს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობას. დამფუძნებელი კრება განახორციელებს საქართველოს ავტონომიას.

საჭიროა ყველაფრის გათვალისწინება და ენერგიული საარჩევნო მუშაობის დაწყება დაუყონებლივ. ყოველი დღე ძვირფასია.

რევოლიუცია და ერები

უკრაინელების ჯარის ყრილობა

კიევი. 13 ივნისი. დაიხურა უკრაინელთა სამხედრო ყრილობა. დახურვის წინ დიდის ზეიმით წაიკითხეს უნივერსალი. გრუშევსკიმ მოუწოდა, ენერგიულად მხარი დაუჭირეთ რადის დადგენილებებსაო. სხდომის შემდეგ რადამ დაათვალიერა ბოგდან ხმელნიცკის სახელობის პოლკი. სოფიის მოედანზე წაიკითხეს უნივერსალი.

ფინლანდია.

ჰელსინგფორსი. 14 ივნისი. მეორედ წაკითხვით სეიმმა მიიღო კანონპროექტი ებრაელთა თანასწორობისა. ფინლანდიის სეიმმა სთხოვა დროებით მთავრობას—ორი თვით კიდევ უნდა გავაგრძელოთ სესიაო. კანონით ეს სესია თავდება 29 ივნისს.

ლიტველები.

ციურიხი. ლიტველების ცნობების ბიურო პროტესტს აცხადებს გერმანელების პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელნიც ქადაგებენ ფედერატიულ სახელმწიფოს შექმნას პოლონეთის, ლიტვის და კურლიანდიისაგან. ლიტველები მოითხოვენ ლიტვის დამოუკიდებლობას.

რევოლიუციის დეპეშები

„ბოლშევიკების მოქმედება“

როსტოვი-დონზე. 12 ივნისი. ადგილობრივ მეცხოვრე ჯარებში დიდი მღელვარება გამოიწვიეს „ბოლშევიკებმა“. მღელვარების საბაბია ერთი პოლკის ფრონტზე გაგზავნა. ხმებია რომ საარმიო პოლკების ნაცვლად ყაზახ რუსების პოლკებს ჩააყენებენ ქალაქშიო. „ბოლშევიკებმა“ მიტინგები გამართეს ქალაქის მოედანზე და მრავალი სიტყვა წარმოსთქვეს. სხვა მიმართულების ორატორების სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. შეიპყრეს ერთი მათგანი. მიტინგმა

დაადგინა გაუგზავნონ დელეგაცია კერენსკის რომ გააუქმოს თავისი ბრძანება. ამის შემდეგ ბრბო მ. და ჯ. ქ. დეპ. საბჭო და მოსთხოვეს საგანგებო თათბირი დაენიშნათ პოლკები კომიტეტებთან ერთად.

კერენსკის მოგზაურობა.

პეტროგრადი, 13 ივნისი. საზღვაო და სამხედრო მინისტრი ყაზანს წავიდა აღმოსავლეთ ოლქების დასათვალიერებლად, იქიდან კერენსკი კავკასიაში ჩამოვა.

საერთაშორისო კონფერენცია.

პეტროგრადი, 13 ივნისი. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ამ ახლო ხანში სტოკჰოლმს, საფრანგეთს და ინგლისს გაჰგზავნოს დელეგაცია საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისათვის ნიადაგის მოსამზადებლად.

დათხოვნილი აფიცრები.

პეტროგრადი, 13 ივნისი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, იმ აფიცრებს, რომელნიც თავის საპოლიტიკო რწმენისათვის დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან & ეხლა ამნისტია მიიღეს— ჩაეთვლებათ დათხოვნიდან აქამდე სამსახურის ვადა.

ქაღალდის საკითხი.

პეტროგრადი, 14 ივნისი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: ვიდრე ქაღალდის კრიზისი არსებობს, ყოველდღიურ გაზეთებს საშუალება ეძლევათ ჰბეჭდონ დილით 25 სვეტი, საღამოს არა უმეტეს 15-სა. ეს სრულიად არ ვრცელდება „ვესტნიკ ვრემენნოვო პრავიტელსტვა"-ზე. ვინც ამ დადგენილებას არ დაემორჩილება, იგი დაჰატიმრებულ იქნება ერთის წლით.

ჯარიდან დაბრუნება.

პეტროგრადი, 14 ივნისი. სამხედრო-საზღვაო მინისტრი აცხადებს, რომ ბევრი აფიცრები და ჯარის-კაცები თხოულობენ, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ჯარი სრულიად უმწეოდ რჩება და იგი ინტელიგენტურ ძალებს მოკლებული იქნება.

ჯარი და მუშათა საბჭო.

პეტროგრადი, 14 ივნისი. პოლკებისა და ბატალიონების კომიტეტების კრებამ, გაითვალისწინა-რა, 10 ივნისს განზრახული შეიარაღებული გამოსვლა, დაადგინა: ჯარის ქუჩაზე გამოყვანის უფლება აქვს მხოლოდ სალდათთა დეპუტატების საბჭოს. ყო[illegible] უფლება აქვს [illegible]წილეობა მიიღოს ყოველგვარ მანიფესტაციაში, რომელიც გაიმართება აღმასრულებელ კომიტეტის და სალდათთა დეპუტატების საბჭოს თანხმობით, რა პარტიისაც უნდა იყოს იგი. როტის და პოლკის კომიტეტებმა ზომები უნდა მიიღონ, რათა ცალკე ჯარის-კაცებმა იარაღი არ დაიტაცონ. ამავე დროს საზოგადო კრებას ჰგონია, რომ იმ ორგანიზაციის მოქმედება, რომელიც 10 ივნისის გამოსვლას ამზადებდა—დეზორგანიზაციას უწყობს ხელს და კონტრ-რევოლუციის ნიადაგს ამზადებს.

დამფუძნებელ კრებას იწვევენ.

პეტროგრადი, 14 ივნისი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქმნას 1917 წლის 30 სექტემბერს. 2) არჩევნები დამფუძნებელ კრებისათვის მოჰხდება 1917 წლის 17 სექტემბერს. 3) საარჩევნო სიებს შეადგენენ სავოლოსტო და ქალაქის თვითმართველობებს, რომელნიც არჩეულ არიან საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარულ კენჭის ყრით. 4) დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობოს ყველაფერი ეს ხსენებულ ორგანოებს. 5) ეს დადგენილება ძალაში შედის სენატის მიერ გამოქვეყნებამდე.

დემონსტრაციები პეტროგრადში.

პეტროგრადი, 14 ივნისი. პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს 14 ივნისის სხდომამ, ლიბერის მოხსენების შემდეგ 9—10 ივნისის ამბების გამო ისეთივე დადგენილება გამოიტანა, რანაირიც საბჭოთა ყრილობამ. შემდეგ განიხილეს საკითხი 18 ივნისის მანიფესტაციებისა. გადასწყვიტეს გამოვიდნენ ერთის ლოზუნგით; მოწვევა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციისა, რაც შეიძლება მალე დამფუძნებელ კრების მოწვევა. ბოლშევიკებმა პროტესტი განაცხადეს და სთქვეს: ჩვენი საკუთარი ლოზუნგებით გამოვალთო. აირჩიეს ცალკე კომისია ამ საქმეებისთვის.

გლეხობა.

ფეოდოსია, 14 ივნისი. გლეხთა ყრილობამ დაადგინა ახლავე განვახორციელოთ დადგენილება სრულიად რუსეთის გლეხობის ყრილობისა სახნავ-სათიბ-საძოვარ მიწების დაყოფის შესახებ.

საბჭოს გადაწყვეტილება.

მოსკოვი, 13 ივნისი. მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე, შრომის მინისტრის ამხანაგის კოლოკოლნიკოვის მონაწილეობით მიიღეს რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია; „აუცილებელია რევოლუციონური მთავრობა ჩა[illegible] ცხოვრებაში. მან უნდა დაარსოს საეკონომიო საბჭოები. საჭიროა აგრეთვე მანეთიანის კურსის ასაწევად ზრუნვა. უნდა შემოღულ იქმნას გადასახადი: შემოსავლის ქვალობაზე, მემკვიდრეობასა, სამხედრო მოგებასა, ქონებასა და საფუფუნო საგნებზეო.

რკინის გზები.

მოსკოვი, რაიონის კომიტეტმა დაადგინა ნახევრად შემციროს სამგზავრო მიმოსვლა რკინის გზებზე. საჭირო იქნება განსაკუთრებული ნებართვა რკინის გზაზე მოგზაურობისათვის. აგრეთვე უნდა შემცირდეს გაშვება სალდათებისა სამსახურიდან.

უკრაინელთა მოთხოვნილებათა უარის ყოფა.

პეტროგრადი, 14 ივნისი. იურიდიულმა კომისიამ, განიხილა უკრაინის ცენტრალური რადის მოთხოვნილება და დაადგინა: დროებით მთავრობას ნება არა აქვს უკრაინის ავტონომიის საკითხი გადასწყვიტოს, რადგან ეს სავსებით დამფუძნებელი კრების კომპეტენციას შეადგინოსო. ამავე მოსაზრებით კომისსიამ არ განიხილა უკრაინის საქმეთა საგანგებო კომისარის დანიშვნის საკითხი. რაიცა შეეხება უკრაინელების მონაწილეობის მიღებას ინტერნაც. კონფერენციაზე, კომისსია ამის წინააღმდეგია, რადგან მისი აზრით კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ არა ერები, არამედ სახელმწიფონი. უკრაინელ ჯარების გამოყოფის საქმე სამხედრო მინისტრის კომპეტენციას შეადგენსო განაცხადა კომისიამ. რაიცა შეეხება სკოლის უკრაინიზაციას, კომისიის აზრით მოსწავლეთა კონტიგენტი უმთავრესად ქალაქის მცხოვრებთა შვილების. არა უკრაინელთაგან შესდგება და ამიტომ ეს საკითხი ფრიად რთულიაო და სკოლის ნაციონალიზაციის პრინციპი მთელ სახელმწიფოში უნდა იქნას გატარებული.

პარიზი, 14 ივნისი. დეპუტატთა პალატაში შეტევის შესახებ მსჯელობენ.

სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობა.

პეტროგრადი. 14, ივნისი. 14 ივნისის სხდომაზე ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია ომის შესახებ: ყაზახთა დამფუძნებელმა კრებამ მშვიდობიანობის მოსაახლოვებლად აუცილებლად საჭიროდ აღიარა დაუყონებლივ შეტევის დაწყება. სეპერატიული ზავი არ უნდა იქმნეს: ჩვენმა ჯარებმა უნდა იმოქმედონ მოკავშირეებთან შეთანხმებით, რათა ამგვარი გზით ვაიძულოთ მტერი ზავი ჩამოაგდოს, ზავი უნდა იქნას [illegible]ციისა და ანექსიის გარეშე, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული. ყრილობა ესალმება იმ ჯარებს, რომელთაც იმედი და სულის სიმხნევე არ დაჰკარგვიათ, მოუწოდებს მოქალაქეთ მხარი დაუჭირონ თავისუფლების სესხს. ხოლო ყველა დეზერტირებს და ყველა იმათ, ვინც დეზერტირებს აქეზებს, ყრილობა მამულის მოღალატედა ნათლავს და მოუწოდებს დროებით მთავრობას ზომები მიიღოს მათ წინააღმდეგ.

ოდესსა, 14, ივნისი. შავი ზღვაზე გემების მიმოსვლა განახლდა.

დამფუძნებელი კრება.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების თათბირზე 14 ივნისის სხდომაზე თავმჯდომარე კოკოშკინმა კრებას ამცნო, რომ დროებითი მთავრობა სთხოვს თათბირს დღესვე გამოარკვიოს დრო, როდესაც მოწვეული უნდა იქნეს დამფუძნებელი კრება. ამ მიზნისათვის თათბირმა აირჩია კომისია ჰესენის თავმდომარეობით ამ კომისიას დაევალა დაუყონებლივ შეუდგეს მუშაობას შეისწავლოს და განიხილოს ეს საკითხი. კომისია უმთავრესად ხელმძღვანელობდა ტეხნიკური მოსაზრებებით მიიღო სავალდებულოდ, რომ საარჩევნო კომპანია დაუკავშიროს ადგილობრივ თვითმართველობას, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით დაიწყებს მოქმედებას პირველ ოქტომბრიდგან. არჩევნების დაჩქარებლად კომისიამ დაადგინა მიანდოს საარჩევნო სიების შედგენა უკვე არსებულ ადგილობრივ თვითმართველობათ. კომისიამ გამოარკვია, რომ საარჩევნო კომპანია დასჭირდება 60 დღე.

თათბირმა მიიღო კომისიის ორი წინადადება: 1. საარჩევნო სიების შედგენა მიენდოს იმ ორგანოების რომლებიც ადგენენ სასოფლო და საქალაქო სიებს და საბოლოოდ კი ეს სიები დამთავრებული იქნება ქალაქის თვითმართველობათაგან; 2. დამფუძნებელ კრების არჩევნები უნდა მოხდეს ორი თვის მერე, როდესაც მოქმედებას დაიწყებენ სასოფლო და საქალაქო თვითმართველობანი, დემოკრატიულ ნიადაგზე არჩეულნი.

ომის დეპეშები

პეტერბურგი, 14 ივნისი. ოფიციალურად. მთავარ-სარდლის ბანაკიდან. დასავლის და რუმინიის ფრონტზე სროლაა. მფრინავთა მოქმედებაა... (?) კავკასიის ფრონტზე, სერდეშის ჩრდილო დასავლეთით ჩვენმა ავანგარდებმა ბრძოლით აიღეს ნანია და მოლეშიხი. თათრები მუშში გაიქცნენ ბიო[illegible] რაიონში [illegible] მიმართულებით გრძელდება შეტევა.

ლონდონი, 13 ივნისი. ოფიციალურად იუწყება 31 მაისის ლონდონზე თავდასხმის შესახებ მოკლულია 157, დაჭრილია 432, მოკლულთა შორის 24 ქალია და ორი ბავშვი. დაჭრილთა შორის 110 ქალი და 100 ბავშვი.

პეტროგრადი, 15 ივნისი. ოფიციალურად. უწყება მთავარ-სარდლის ბანაკიდან დასავლის ფრონტი კაველის მიმართულებით, კუხარის დასავლით, მტერმა გაზი გამოუშვა, მაგრამ გაზმა ჩვენ სანგრებამდის ვერ მოაღწია, რადგან ქარმა ხელი შეუშალა.

14 ივნისს მტერმა იერიში მოიტანა ჩვენ სანგრებზე. გამოისროლა სახელო ყუმბარები, შეიპყრო ტყვეები კუროპატკინის ახლოს. საშინელი საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს.

რუმინიის ფრონტზე სროლაა.

კავკასიის ფრონტზე სერდემტკსის მიმართულებით, ჩვენმა რაზმებმა დაიპყრეს ქალაქი კერდეშტი.

ბისტანის აღმოსავლეთით ოსმალოთა შემოტევა მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედება. პრაპორშჩიკ ლემანმა ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი. დაიჭრა მფრინავი კაზაკოვი. მტრის საჰაერო ესკადრილიამ 25 ყუმბარა ჩამოაგდო კოზოვის რაიონში,

ახალი ამბავი

◆ **შაქრის კრიზისი.** ტფილისში დიდი კრიზისია შაქრისა. კომერციულ ბანკის საწყობში 1 ვაგონიღაა დარჩენილი. ქალაქის გამგეობა თვეზე მეტია შეეკითხა „ცენტრო ბანკს" შაქრის გამოუგზავნელობის შესახებ, მაგრამ ჯერ პასუხი არ არის.

◆ **საარჩევნო კომიტეტმა** უკვე დაამთავრა საარჩევნო სიების შედგენა, ყველა 83 უბანში. სიებს 6 დღის შემდეგ გადასცემენ პარტიებს.

◆ **ახალი ლუდი.** 1 პროცენტიან ლუდის წყალობით კუჭის ავადმყოფობა ძლიერ გავრცელდა ქალაქში.

◆ **ქალთა უმაღლეს სასწავლებლის** საოჯახო-მეურნეობის კომიტეტში ქალაქის გამგეობის მხრივ არჩეულ იქმნა გ. დ. ჟურული.

◆ **ტომრების სყიდვა გაზიდვა.** სასურსათო სამინისტროს განკარგულებით აღკრძალულია, ადგილობრივ კომიტეტების ნება დაურთველად.

◆ **ძალმომრეობა.** დეკ. დავით იაშვილმა უტყუარის საბუთებით დაამტკიცა ბენეშევიჩის კომისიაში ქართველ მრევლის უფლება მამა-პაპეულად კუთვნილს ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე მაგრამ 14—14 ამა [illegible] განკარგულებით რუს მრევლის სურვილის თანახმად, დ. იაშვილი გაძევებულ იქმნა მთავარ-ანგელოზის ეკლესიიდან და მის ადგილზე დანიშნა რუსი მღვდელი, სრულიად არ მცოდნე ქართული ენისა. ამ გარემოებით აღშფოთებულია ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ქართველი მრევლი.

◆ **სამრევლო კრება.** კვირას, 18 ივნისს 18 საათზე საეკლესიო სკოლაში დანიშნულია კუკიის ეკლესიის მრევლთა განმეორებითი კრება განურჩევლად სქესისა. საგნები კრების მსჯელობისა: ახალი სამრევლო საბჭოს დაარსება და მისი წევრების არჩევა, ახალი მნათის არჩევა და სხვანი.

◆ **ტფ. ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში** თავისუფალია რუსული და გერმანული ენების შტატის მასწავლებლის ალაგი, ფრანგული ენის გაკვეთილები და კლასის დამრიგებლის თანაშემწის ალაგი. ჯამაგირი და პენსია იგივეა რაც მთავრობის გიმნაზიებში.

◆ **დღეს საღამოს 6 საათზე** სასტატისტიკო განყოფილების დარბაზში (ორბელიანის ქუჩა 12). შესდგება ერობათა კავშირში მოსამსახურე სოც. ფ—თა კრება ამხანაგებს ვსთხოვთ არ დაიგვიანონ.

◆ **რეალურ სასწავლებლის** დირექტორი ფ. პ. აგაპიევი სალდათთა და მუშათა დეპუტატთა საბჭოს დადგენილებით გადაყენებულ იქმნა თვის თანამდებობისაგან.

◆ **გერმანელთა კრება.** 18 ივნისს საზოგადო კრებაა დანიშნული ტფ. გერმანელთა ყველა მოქალაქეთა განურჩევლად სარწმუნოებისა და სქესისა. კრება დღის 11 საათზეა დანიშნული.

◆ **სახელმწიფო დაწესებულებებში** მოსამსახურეთა კავშირის მესამე სადელეგატო კრება 18 ივნისსაა დანიშნული ვაჟთა მე-3 გიმნაზიაში.

◆ **ქართულ გიმნაზიაში** განთავისუფლდა შტატის თანამდებობა რუსულ და გერმანულ მასწავლებლებისა და შტატ გარეშე თანამდებობანი ფრანგულ მასწავლებლისა. აგრეთვე თანამდებობა კლასის დამრიგებლისა. ჯამაგირი და პენსიები მთავრობის გიმნაზიის მასწავლებლებისაა.

◆ **ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ.** დღეს ივნისის 17-ს საღამოს 5 საათზე დანიშნულია ქართვ. სტუდენტთა, კურსისტ ქალთა და აბიტურიენტთა საერთო კრება. კრების მიზანია მომავალ ქართვ. სტუდენტთა და კურს. ქალთა კონფერენციის დელეგატების ამორჩევა. ამოირჩევენ მხოლოდ ისინი, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა დელეგატების არჩევაში. ბინა: ოლღას ქუჩა № 52.

◆ **მაჰმადიან სალდათთა დელეგატები.** ოფიცერთა, სამხედრო მოხელეთა და ტფ. გარნიზონის მაჰმადიან სალდათთა, ბრძოლის ველის სალდათთა დეპუტატების მონაწილეობით თვის უკანასკნელ კრებაზე დაადგინეს: „ვინაიდან ბნელ ელემენტებისაგან გავრცელებული პროვოკაციული ხმები

კოოპერატიული მოძრაობა ფინლანდიაში*)

ფინლანდია მდებარეობს 60°—70° ჩრდილოეთის სივრცეზე და სივრცით უდრის 375000 ოთხ-კუთ. კილომეტრს, რომლიდანაც 42.000 ოთხკ. კილომეტ. წყლებს უჭირავთ; მცხოვრებთა რიცხვი აღწევს 3.000,000-მდე; თვითეულ ოთხ-კუთხედ კილომეტრზედ მოდის სამხრეთით 15—25 მცხოვრები, ჩრდილოეთისაში კი 1—12; ფინლანდიაში ითვლება 40, შედარებით პატარა, ქალაქი და 470 სოფლის საზოგადოება. უმეტეს წილად თვითეულ საზოგადოებაში 2,500—5000 მცხოვრებია, სამხრეთით. დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ხალხი სოფლეულად სცხოვრობს, ხოლო ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით—ცალკე მოსახლეობით—როგორც მაგ. იმერეთში: სოფლის განათლებული ნაწილი უფრო დიდს, სამამასახლისო სოფლებში სცხოვრობს; მოიპოვება ისეთი სოფლის საზოგადოებანიც, რომელთაც განათლებული ხალხი სულაც არა ჰყავთ. ამ ბოლო დროს კი, ჩნდება ნასწავლი ხალხი, მასწავლებლები იმისთანა სოფლის საზოგადოებებშიაც, რომელთა მცხოვრებთა რიცხვი 1,000 სულს არ აღემატება; გარდა ამისა უფრო შეძლებული ოჯახიშვილნი ერთს ზამთარს სწავლობენ უმაღლეს სახალხო საზამთრო სკოლებში (შვედურ და დანიის მაგვარ სკოლებში) ან საზამთრო სასოფლო სამეურნეო სკოლაში; კოოპერატიულ მოძრაობას ხელმძღვანელობენ ან თვით სოფლელები (გლეხები) ან და მასწავლებელნი, და არა სამღვდელოება, როგორც ეს გერმანიასა, იტალიასა და ირლანდიაშია.

უმეტესი წილი ფინლანდ. მცხოვრებთა სოფლადა სცხოვრობს—(2.700,000 სული—1901 წლ. ცნობით) & 400,000-მდე ქალაქებში; სოფლის მცხოვრებთაგან 11% მრეწველობით სცხოვრობს, და 80% მიწადმოქმედება—მეტყეობით.

ამიტომაც არის, რომ კოოპერატიული მოძრაობა ემსახურება სოფლის საჭიროებას, მის გაჭირვებით არის გამოწვეული.

კოოპერატიული მოძრაობა ჩადგა ნორმალურ უფლებრივ მდგომარეობაში მხოლოდ 1901 წლიდან; მანამდე კოოპერატივებთათვის არ იყო განსაკუთრებული კანონები; საზიარო წარმოება—მოქმედებას აწყობდნენ საგლეხო კავშირების და სააქციონერო საზოგადოების სახით; კოოპერატივი სააქციონერო საზოგადოებისაგან განსხვავდება უმთავრესად შემდეგით: სააქციონერო საზოგადოებაში უმთავრესი ძალა აქვს ფულსა და ფულის პატრონსა; რომლის ინტერესია, რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს დაბანდებულ ფულზედ; სხვა მას არაფერი ეინტერესება და ეკითხება; კოოპერატივში კი მომქმედი ძალა წევრია და მისი საჭიროების დაკმაყოფილება არის უმთავრესი მიზანი. კოოპერატივის მიზანია მოახერხოს წევრთა ნაწარმოების კარგს ფასებში გაყიდვა და იაფ ფასებში მისთვის საჭირო საქონლის ყიდვა, ან ძვირფას მანქანა-იარაღებით სარგებლობა, ხელსაყრელ პირობებით ფულის შოვნა და სხვა. ამრიგად, კოოპერატივში წევრი მონაწილეობს არა მარტო ფულით, არამედ მთელი თავისი მოქმედებით; და რაც უფრო ცხოველია წევრის მოქმედება, მით უფრო ძლიერი და სასარგებლოა კოოპერატივი.

ფინლანდიის კოოპერატიულ კანონის თანახმად კოოპერატივის დასაარსებლად საჭიროა თანხმობა ხუთი კაცისა მაინც; მოწილო ფულის პატრონთ ყველას თანასწორი უფლება აქვსთ საქმის წარმოებაში, მიუხედავად იმისა, ვის რამდენი აქვს ფული შეტანილი; ეს საწილო ფულია კოოპერატივის სალარო; გარდა ამისა, კოოპერატივს შეუძლიან დააწესოს დამატებითი პასუხისმგებლობა წევრობისა კოოპერატივის მევალეთა წინაშე; ეს დამატებითი პასუხისმგებლობა ორნაირია: განსაზღვრული და განუსაზღვრელი; ამით კოოპერატივს შეუძლიან, თუ თავისი თანხა არა ჰყოფნის, კიდევ ადვილად ისესხოს საჭირო ფული; რაკი კოოპერატივის მევალეთ (კრედიტორებს) ფული უზრუნველყოფილი ექნებათ გარდა კოოპერატივის საკუთარ ქონებისა, წევრთა დამატებით პასუხისმგებლობით, ცხადია, ყველა სიამოვნებით გაუმართავს ამხანაგობას ხელს.

კოოპერატივებში საწილო ფულზედ ეძლევათ ჩვეულებრივი სარგებელი ოთხ-ნახევრიდან 6 პროც.; რაც ამის იქით დარჩება თანხა, თანახმად წესდებისა ან საზოგადო კრების დადგენილებისა, ხმარდება სათადარიგო თანხის შედგენას, ზარალის გასტუმრებას, საზოგადო სასარგებლო საქმეს და სხვა აქედან მონარჩენი ფული კი ნაწილდება წევრთა შორის იმის მიხედვით თუ ვის რამდენი მონაწილეობა მიუღია კოოპერატივის მოქმედებაში.

კოოპერატივის წესდება უნდა მოიწონოს გუბერნატორმა და შეტანილ იქმნას სავაჭრო სიაში (რეგისტრში); მხოლოდ ამის შემდგომ შეუძლიან მოქმედების დაწყება.

—

ფინლანდიაში ყველაზე მეტად გავრცელებულია მომხმარებელი (512), საკრედიტო (416) და სარძევე კოოპერატივები; საკმაოდ ბლომადაა კოოპერატივები პურის სალეწი მანქანებით (191), ტორფის ამოსაღები (85) და სხვა და სხვა, რომელთა საერთო რიცხვი აღწევს 363-ს.

მომხმარებელი კოოპერატივები უმეტესად სოფლად მოღვაწეობენ; 477 კოოპერატივიდან ქალაქში მოქმედებდა 442, სოფლად კი 433; მომხმარებელ საზოგადოებათა წევრთა საერთო რიცხვი უდრიდა 100,000, აქედან ქალაქების კოოპერატივებს წევრობდა 25,000, სოფლების დანარჩენი 75,000.

სოფლის მომხმარებელ საზოგადოებებს წევრობენ უმეტესად სოფლის მეურნენი—34,5%, სოფლის ბოგანოები—19,3% და სხვანი—46,2%; ფინლანდიის მომხმარებელი კოოპერატივები ვერ დაიკვეხნებენ წევრთა სიმრავლით —25,3%—ჰყავდა 51—100 წევრი, 21,3%—100—150, 15,6%—151—200 და 14,9%—201—300; გასაკვირველია არის პატარა საზოგადოებანიც, რომელთაც ჰყავდათ 5—50 წევრი (5,8% საგარეო რიცხვისა) და 300—500-ამდე—(10,7%) და ხუთასზედ მეტიც—6,4%.

ზედი-ზედ რომ ვიანგარიშოთ, თვითეულ საზოგადოებაში ირიცხებოდა 188 წევრი (1907 წელს). საწილო ფულის („პაი"-ს) რაოდენობა საზოგადოებათა უმეტეს წილში (418 საზოგადოებაში) დაწესებული იყო ეხლანდელი ვარაუდით 5 მანეთიდან 10 მანეთამდე; მხოლოდ 21 საზოგადოებაში იყო მეტი—10—25 მანეთი.

გარდა საწილო ფულისა, საზოგადოებებს დაწესებული ჰქონდათ დამატებითი პასუხის მგებლობა. 1908 წ. დამლევისათვის ამისთანა პასუხისმგებლობა დაწესებული ჰქონდა 307 საზოგადოებას (64,4%) თვითეულ წევრზედ 25 მანეთიდან 100 მანეთამდე; განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა ჰქონდათ დადგენილი მხოლოდ 13 საზოგადოებას. შუათანა აღებმიცემობა საზოგადოებებსა (1907 წლის ცნობით) უდრიდა 5390 მანეთს დაახლოვებით; ფინლანდიის კოოპერატივები ჰყიდიან საქონელს უმეტესად წევრებზედ (აღებმიცემების 60,8%) & უცხოზედაც. დიდი ბრძოლა და მუშაობა დასჭირდა საზოგადოება „პელლერვოსაც" და მომხმარებელ საზოგადოებათა „კავშირსაც", რათა ხელი აეღებინებია ნისიად ვაჭრობაზე, რომელმაც არა ერთი და ორი დაღუპა.

საზოგადოების მოქმედებას მისდევს სარგებელიც მოგება, როგორც ჩვენ ვნახეთ, 1907 წელს, საშუალოდ თვითეულ წევრს მოეცა 45 მანეთის ნავაჭრზედ 1 მ. 30 კაპეიკი; იმავე წელს, 5,8% წმინდა მოგებიდან იქმნა საზოგადო სასარგებლო საქმეზე—კოოპერატიულ ლიტერატურის გასავრცელებლად და სხვა.

ფინლანდიის მომხმარებელი კოოპერატივები აძლევენ დივიდენდს არა წევრთაც (მაგ. 107 წელს 45 მანეთის ნავაჭრზედ საშუალოდ თვითოეულ წევრს მიეცა 80—90 კ.); ხოლო დივიდენდი ხალხში კი არ ეძლევათ, არამედ ინახება საზოგადოებაში, სანამ საწილო ფულის და საწევრო გადასახადის შესადგენად საკმაო ჯამი არ შედგება და ამ გვარად არ გახდება წევრად; თუ მაინცდა მაინც არ ისურვა წევრმა, მაშინ ეს თანხა ემატება საზოგადოების სათადარიგო თანხას.

ზოგიერთი მომხმარებელი საზოგადოებებს გამართული აქვსთ საკუთარი ქარხნები—ძეხვებისა და ხელოვნურ სასმელ წყლებისა.

ფინლანდიაში, როგორც სხვა ქვეყნებშიაც, ბევრი მომხმარებელი საზოგადოება დაიღუპა: მიზეზი ამისა წევრთა შეუგნებლობა, დივიდენდების მიღების სურვილი როგორც კი ფული გამოჩნდებოდა, კულტურულ აზრთა სხვა და სხვაობა ნისიად ვაჭრობა და სხვა.

საკრედიტო კოოპერაცია.—საკრედიტო ამხანაგობათა დაარსება ფინლანდიაში დაიწყო 1903 წლიდან და 1909 წელს ითვლებოდა უკვე 364 ამხანაგობა.

ფინლანდიის საკრედიტო კოოპერატივების დაარსებას საფუძვლად დაედო ცნობილ გერმანიის კოოპერატორ რეიფფეიზენის პრინციპები.

საკრედიტო ამხანაგობის სამოქმედო ფარგალი გეოგრაფიულ პირობებისა გამო ჩვეულებრივ ფართეა 10—20 კილომეტრი, მაგრამ წევრთა რიცხვი მცირეა—უმეტეს წილ ამხანაგობებში 40—60 წევრით ზოგიერთებში კი 80—50 ამდე ადის; კოოპერატივებს წევრობენ უმეტესად მესაკუთრენი, და მათ წვრილი მოიჯარადრენი; შეძლებულ წევრია უმეტესობის ქონება (70%) არ აღემატებოდა 1000 მანეთს, 25% ჰქონდა შეძლება 1000—4000 მანეთისა და 5% 4000—20,000 მანეთისა; მონაწილე წევრნი ნავალებ ფულში პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით თვითეულს წევრს შეაქვს კოოპერატივში პაი 20—25 მანეთი (უმეტესად) ზოგში 3—15 მანეთი და 30—40 მანეთი; ეს ფული შეაქვთ ნაწილ-ნაწილად 10—12 წლის განმავლობაში. კოოპერატივის მოქმედებას უძღვება 5 კაცისაგან შემდგარი გამგეობა; საკრედიტო კოოპერატივების კავშირი—ცენტრალური კასსა—წელიწადში ერთხელ მაინც უკეთებს ამხანაგობას სერიოზულ რევიზიას.

საჭირო სახსარ ფულს აძლევს „ცენტრალური კასსა" უმეტესად 2000—4000 მანეთს, ამ სესხის გარდა ამხანაგობებს აქვსთ საკუთარი თანხა—პაის ფული და სათადარიგო თანხა მობარებული ფული ნაკლებად აქვსთ, რადგან წევრები უფრო ღარიბი ხალხია, ფინლანდიის კანონი კი ნებას არ აძლევს უცხოთაგან მიიღონ შესანახად ფული; არსებულ ამხანაგობათა მხოლოდ მესამედს ჰქონდა მობარებული ფული რომლის საერთო ჯამი უდრიდა დაახლოვებით 200,000 მანეთს (1908 წელს).

სესხი ეძლევათ წევრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამგეობა დარწმუნებულია, რომ ნასესხები ფული მოუტანს წევრს ან სარგებლობას ან ხარჯებს გამოაზოგვინებს მაგ. ჭაობების დაშრობა, დაკარგულ საძოვრების გამოკეთება, ხელოვნურ სასუქის ყიდვა, ბოსლის საუკეთესოდ შეკეთება, ძროხა-ბუღას ყიდვა, სასოფლო-სამეურნეო იარაღის ყიდვა და სხვა.

სესხი არ არის დიდი—უმეტესად 5—50 მანეთი; ძვირად თუ 50 მანეთზე 250 მანეთამდე ხოლო 500 მანეთზე მეტის მიცემა არ შეიძლება.

სესხის გატანაც და გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ სესხის ვადა მცირეა—რამდენიმე თვე, ერთი ან რამ-

---

*) იხ. ჰებგარდის წიგნი: „ისტორია კოოპერატიული მოძრაობისა ფინლანდიაში".

ვითომცდა მაჰმადიანნი იარაღდებოდნენ ძლიერ აღელვებას იწვევენ მაჰმადიან სალდათთა შორის რომელნიც რუსეთში მცხოვრებ ერებთან ერთად ხელ-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან თავისუფლებისთვის ძმობისთვის და ერთობისთვის, კრება ერთხმად ადგენს სასტიკი გამოძიება მოახდინოს და გამომჟღავნოს დამნაშავენი ამ საზიზღარ პროვოკაციის ამ მოსაზრებით და მაჰმადიან სალდათთა ინტერესების დასაცავათ კრება ადგენს შემდეგს: 1) ეთხოვოს სალდათთა დეპუტატების საბჭოს მიიღოს თავის შემადგენლობაში ნამდვილ წევრებად წარმომადგენელნი კავკასიის ლაშქრობისაგან მაჰმადიანი სალდათები 2) იყოლიონ მაჰმადიანმა ჯარის კაცებმა თავისი წარმომადგენელნი საარმიო საბჭოში საზოგადოდ კი ამ საბჭოსთან არსებულ ნაციონალურ კომისიაში 3) აგრეთვე იყოლიონ მაჰმ. ჯარის კაცები 3 წარმომადგენელნი ტფ. მაჰმადიანთა კომიტეტში.

◆ **სამხედრო სასამართლოს** თავმჯდომარე გენ. ლ. მ. ფ. გაბრილოვიჩი ტფილისში ჩამოვიდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. გაბრილოვიჩმა 1908 წ., როგორც ამ სასამართლოს წევრმა, იძულებით თხოვნა შეიტანა სამსახურიდან გადადგომისა ამ სასამართლოს თავმჯდომარის ა. ნ. ვოლკოვის ცრუ დასმენით.

◆ **ქართ. საქ. საზ. გამგეობამ** 1000 მ. შემწეობა აღმოუჩინა სვანებს, ომისაგან დაზარალებულთ.

◆ **ფქვილისა და ხორბლის მიღება.** გუშინ მიიღო ქალაქის კომიტეტმა 4 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი ხორბალი.

◆ **გლეხთა ყრილობა ალექსანდროპოლში** როგორც „ჰორიზონს“ ატყობინებენ, აურჩევიათ პრეზიდიუმი.

◆ **ხარფუხში დღეს,** 17 თიბათვეს, ტფ. ქ. ქალთა საზ. მეხუთე უბნის განყოფილება მუსულმანთა აუდიტორიაში ჰმართავს საღამო-წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება: 1. „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“, 2. „უბედური დღე“ და 3. დივერტისმენტი. მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ჯავახიშვილი, მარგველაშვილი, მჭედლიშვილი; ბ-ნნი: ნ. გოცირიძე, ს. რომანიშვილი, ი. ჰ. ჟორდანია, თავდგირიძე, გრ. დარჩიელი, ხიმშელი და სხვ. დასაწყისი საღ. 7 ს,

◆ **საგიმნასტო საზოგადოება „შევარდენი“** იწყებს ვარჯიშობის და თავისუფალ მოძრაობის კურსებს რეალურ სასწავლებლის შენობაში. ვარჯიშობა ორშაბათობით, ხუთშაბათობით მხოლოდ ქალებისთვისა დანიშნული, კაცებისთვის სამშაბათ-პარასკეობით საღამოს 7 $^1/_2$—9 საათამდე.

◆ **ლტოლვილთა მოწყობ საქმის** რწმუნებულები სლივიცკი, ქეთხუდოვი გოლუბევი და ევანგულოვი განთავისუფლებულ იქმნენ თვის თანამდებობიდან. მზრუნველობა ჩაბარდა საზოგადო კომიტეტს, სადაც ქართველების მხრივ 5 კაცი შევა.

◆ **წყალი ტფილისში** 25 პროცენტით შემცირდა, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ მთავარი მილები დიდი წყალდიდობისაგან ათასგვარ ნივთიერებით არის სავსე. ნორმალურ პირობებით წყლის საქმე 2 დღეზე ადრე არ მოხდება.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოებათა კრება** მოხდა 15 ივნისს პრაპ. მაკაროვსკის თავმჯდომარეობით დადგენილ იქმნა გამართონ საღამო 25 ივნისს და 60% შემოსავლიდან გადაიდოს ჯარის სასარგებლოდ.

◆ **პურის საცხობთა გამრავლება** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა გამრავლებულ იქმნას პურის საცხობები. მაგალითად მეათე კომისარიატში ორი პურის საცხობი მილიციის კოოპერატივი ხსნის პურის საცხობს ჩერქეზიშვილისა და ვოგზლის ქუჩების კუთხეში და აგრეთვე კიროჩინისა და მიხეილის პროსპექტის კუთხეში.

◆ **ქართული სახელმძღვანელოები** მზადდება სახალხო სკოლებისათვის

სოფლად და ქალაქად

ქუთაისი

◆ 13 ივნისს მეტად აღმაშფოთებელ მოვლენას ჰქონდა ადგილი ქუთაისში. წყალ გაღმა უბანში ჯარის კაცებს აუტეხიათ პოსტზე მყოფ მილიციონერისათვის ჩხუბი. წაურთმევიათ მილიციონერისათვის თოფი. მილიციონერს კვლავ თოფის უკან დაბრუნება მოუნდომებია და დიდი ბრძოლის შემდეგ თოფი უკან დაუბრუნებია. მაგრამ ჯარის კაცებს მილიციონერისათვის კვლავ წაურთმევიათ თოფი. აურ-ზაურში მილიციონერს თოფი გავარდნია. ჯარის კაცებს ჰგონებიათ, რომ თოფი მათთვის უსვრია მილიციონერს და დაერივნენ როგორც მას, აგრეთვე სხვა მილიციონერებსაც; გამოძიება მომხდარი სამწუხარო ამბის შესახებ სწარმოებს ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში.

სოფ. ზემო-გომი

◆ 11 თიბათვეს შესდგა დამფუძნებელი კრება გორის რაიონის კოპერატივებისა წესდების ხელის მოსაწერად; დაესწრნენ წარმომადგენელნი შემდეგი კოოპერატივებისა: წოძისა, ზემო-კოშისა, მოხისისისა, ავლევისა, ბოეთისა, სალოლაშენისა: რუისისა, ქარელისა, ხცისისა; გორიდან ამოვიდნენ კოოპერატორები სვიმონ მაჭავარიანი და შალვა გოგებაშვილი. კრებამ შეიტანა შესწორებანი წარმოდგენების პროექტში და ხელის მოსაწერად აირჩია ოთხი კოოპერატივი: ზემო გომისა, ავლევისა, წრომისა და მოხისისა. სრულიად კავკასიის კოოპერატორთა კრებაზე, რომელიც შესდგება ქ. ტფილისში 15—20 თიბათვეს წარმომადგენლებად აირჩიეს აგრონომი ელიზბარ კარბელაშვილი და ალექსანდრე გოკიელოვი.

ატენი

◆ ატენის მცხოვრებლებს შარშანდელივით, წელსაც წყალდიდობამ დიდი უბედურება დაატეხა თავს. შაბათს ივნისს ადიდებული ტანა და ბოსტნის ხევი, თითქო შეპირებულანო ერთბაშად ეკვეთნენ ატენში პავლიაშ-უბანსა ორი მხრივ და სულ ერთი საათის განმავლობაში დაანგრიეს ოთხი შენობა რაჟდენა ბზიშვილისა: საბძელი, გომური, სახლი და მარანი. დაწიოკებული ხალხის წივილ-კივილს ზედ ერთოდა გააფთრებული მდინარის ღრიალი და ერთად კი უბედურის შემზარავ ხმას წარმოადგენდა. წყალი ახლაც არ დაწყნარებულა ნელ-ნელა მიზდევს და უთხრის ძირს სხვა მოსახლეებსაც. აი ეხლა ამ წერილის დაწერის დროს მიადგა და გადმოაგდებს მაქრო ბზიშვილის სახლსაც- რაჟდენ ბზიშვილის სახლ-კარიდან ითლად გაიტაცა ყველაფერი. ლოგინი, ავეჯი, ღვინო, 80 ფ. პური, 200 მან. ფული. ერთი სიტყვით ხალხმა ძლივს გამოასწრო ცოცხალი ერთი გასათხოვარი ქალი იმ ოჯახისა დაასახრჩა, მკლავი მოსტეხა; დათიკო ბზიშვილი სახლში მოემწყვდა, როდესაც წყალმა კედელი განგრია და გაავსო სახლი და იმით გადარჩა, რომ ბუხრის მილში შეძვრა და იქიდან მაღლა ავიდა; საწყალი ბუხრის მილიდან ძლივს გამოაძრეს გაჭედილი. მისი ძალუაც იმავე სახლში მოემწყვდა და რადგანაც თავი წყალზევით მოექცა, ამიტომ წყალი ვერ შესწვდა, გადარჩა დახრჩობას. იშვიათად იქნება სადმე ასე შევიწროებული ხალხი. თუმცა კარგად იციან მიზეზი ამ წყალ დიდობისა, მაინც ნებას აძლევენ და კიდევ აჩეხინებენ მათ მფარველ ტყეებს ვიღაცა მოსულ ზეზემებს.

თელავი.

◆ **ლექცია.** 18 ივნისს, კვირას თელავის შეძ.-გამსესხებელ საზოგადოების დარბაზში ამხ. ქრისტეფორე რაჭველიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რევოლიუცია და საქართველოს საკითხი“.

ნიხოწმინდა.

◆ 8 ივნისს საშინელი შავ-ასული დღე გაუთენდათ სოფლებს: ნიხოწმინდას, სართიჭალას, აღბულას და საგარეჯოს (დასავლეთის მხარეს). არაჩვეულებრივმა სეტყვამ მიწასთან გაასწორა ვენახები ყანები და ბოსტნეულობა. ხეებს სეტყვამ ფოთლები აღარ შეანარჩუნა, თითქოს იანვარი იყოს. ზარალი მარტო სოფელ ნინოწმინდისა აღემატება 50,000 მ. თუ სხვა სოფლების ზარალსაც ვიანგარიშებთ მაშინ ეს რიცხვი ერთი ოთხად უნდა გავადიდოთ. ჩვენში ნამდვილი სიმშილობა იყო ჩამოვარდნილი.. პური გასასყიდი არსად იშოვებოდა... და ეხლა დაბეჩავებულმა ხალხმა აღარ იცის როგორ უშველოს თავის თავს?!

ჩოხატაური

◆ როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვტყობილობთ, ადგილობრივ მკვიდრს, დღეს ტფილისში მცხოვრებს სასტუმრო „ნოეს“ პატრონს ნოე გლახუნას ძე სიხარულიძეს განუზრახავს დ. ჩოხატაურში თავის ხარჯით აგოს სახალხო სახლი, რომელიც დაჯდება 20,000—30000 მანეთი და გადასცეს ხალხს. ფრიად სასიამოვნო და სასიხარულო ამბავია და ჩვენც ამას აღფრთოვანებით, ვეგებებით, მით უმეტეს, რომ არსებული თეატრის შენობა საზოგადოებას ვეღარ აკმაყოფილებს და სიღარიბით სულს ღაფავს. სრული დარწმუნებული ვართ, რომ ბ. ნოე სიხარულიძე ასეთი ძვირფასი განძისათვის სამუდამო პატივისცემას და სიყვარულს დაიმსახურებს ადგილობრივ საზოგადოებაში.

საქ. სოც.-ფედ. პარტიაში

სოფ. ობჩა. კვირას, 11 ივნისს, სოფ. ობჩაში (ქუთაისის მაზრა) შესდგა ადგილობრივ სოციალ-ფედერალისტთა საორგანიზაციო კრება კრებას თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ამხ. მიხეილ ჩხეიძე. ხოლო მდივნად ამხ. ნიკოლოზ ყარამანის ძე ჩხეიძე. კრებამ აღიარა საჭიროდ პარტიულ ორგანიზაციის დაარსება და კომიტეტში აირჩია შემდეგი წევრები: ა) ამხ. დათიკო იაშვილი, ბ) ბაბილო ჩხეიძე, გ) კოლია ყარამანის ძე ჩხეიძე, დ) კოლია ბ. ჩარკვიანი და ე) ელენე დ. ლაღიძე ხოლო მათ კანდიდატებად ა) ალექსანდრე იერემიას ძე ჩხეიძე, გელოვან ფარსადანის ძე აბულაძე. ამრიგად სოფ. ობჩაში დაარსებულ იქნა სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის კომიტეტი, რომელიც გაუძღვება რა პარტიულ მუშაობას, ამასთან ერთად იკრებს თვის გარშემო თანამოაზრე ამხანაგებს. კომიტეტში არჩეულ პირებთან პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება, აი მოკლე ხანში პარტ. კომიტეტი გამართავს დიდ მიტინგს, რომელზედაც მოხდება პარტიულ პროგრამების გაცნობა.

დ. ახალ-სენაკი. კვირას, 11 ივნისს, ამხ. აკაკი ფაღავამ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ვინ არიან და რა უნდათ სოციალისტ-ფედერალისტებს“? ლექციას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ლექციამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე. მომხსენებელმა გარკვევით და ნათლად დაახასიათა პარტიის დაარსების ისტორია დ ის მიზნები, რომელიც ამ პარტიამ თავიდანვე დაისახა თვის უმთავრეს მიზნებად. ლექციის შემდეგ კამათი გაიმართა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სოც.-დემოკრატებმა, რომელთაც ბევრ არასაკადრისი საპოლემიკო ხერხს მიმართეს; მაგრამ მომხსენებელმა ყველას სათანადო და მოხდენილი პასუხი გასცა, რამაც მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ლექტორი მხურვალე ტაშის-ცემით დააჯილდოვეს.

დ. ზესტაფონი. კვირას 11 ივნისს, დ. ზესტაფონში სოციალ-დემოკრატმა ვალ. ჯუღელმა მოხსენება წაიკითხა „აგრარულ საკითხის შესახებ“. მოხსენების შემდეგ კამათი გაიმართა. სოციალისტ-ფედერალისტების მხრით ილაპარაკეს ამხ. ვარლამ იმნაძემ და გრიგოლ ლაღიძემ. მათ მუხლ-მუხლათ დაარღვიეს მომხსენებლის მთავარი თეზისები და სოც.-დემოკრატიული აგრარული საკითხის სისუსტე და ცვალებადობა აღნიშნეს. მათ ნათლად დაამტკიცეს, რომ სოც.-დემოკრატების აგრარული პროგრამა თავის შინაარსით ბურჟუაზიული მოთხოვნილება გახლავთ. ოპონენტები ხანგრძლივი ტაშის-ცემით იქნენ დაჯილდოვებულნი.

ბრძოლა სიტყვის თავისუფლებისთვის

(მიტინგი ვერის პარკში, იორანთან)

თუთხმეტ ივნისს დანიშნული იყო ვერის სარაიონო მიტინგი საღამოს ექვს საათზე. ამ დროისთვის კარგა ბლომა ხალხმა მოიყარა თავი. ბევრი იყო აგრეთვე ჯარის-კაცები, მაგრამ სოც.-დემოკრატებმა რუსები ცალკე გამოჰყვეს და ქართველები კი ცალკე—უეჭველია იმიტომ, რომ 11 ივნისის მიტინგმა დაუმტკიცა მათ, რომ ისინი სოციალისტ-ფედერალისტებს უფრო ემხრობიან, როდესაც დალაგებით მოისმენენ მათ პროგრამას; მათაც გააცალკევეს ისინი, რომ, როდესაც გასწევდნენ სიტყვის თავისუფლების ჯალათობას, მოსარჩლე არავის გამოსჩენოდა სოციალისტ-ფედერალისტებს.

ჩვენმა ამხანაგებმა მიმართეს ნ. ხომერიკს, რომელიც წინასწარ განკარგულებებს იძლეოდა და ამხ. ა. ჭუმბაძემ სთხოვა, თქვენს შემდეგ მე ვილაპარაკებ და მერე ასე რიგ-რიგად ვილაპარაკოთო. სოც.-დემოკრატების ლიდერმა ნ. ხომერიკმა ირონიით უპასუხა: მე საათ ნახევარი, ორი საათი უნდა ვილაპარაკო და თუ მერე ხალხი მოინდომებს თქვენს მოსმენას ვნახოთო. ჩვენმა ამხანაგებმა განუცხადეს, რომ ეს არ იქნება სამართლიანი და რომ ჩვენ თითონ უნდა ერთმანეთს საშუალებას ვაძლევდეთ დარბაისლურად და თანხმობით გამოვდიოდეთო. ხომერიკმა და მისმა ამხანაგებმა ისევ თავისი გაიმეორეს.

ავიდა ხომერიკი ესტრადაზე და ზოგიერთების მოთხოვნით წინადადება მისცა კრებას თავმჯდომარის არჩევისა. ხალხმა დაასახელა ამხ. ა. ჭუმბაძე (სოციალისტ-ფედერალისტი) და ძიძიშვილი (სოც.-დემოკრატი). ხომერიკმა ხელის აწევით ხმა ჩაატარა ამხ. ჭუმბაძეს და ხმის დიდი უმრავლესობით იგი არჩეულ იქნა.

ამხ. ჭუმბაძემ პირველი სიტყვა მისცა ნ. ხომერიკს. მან საათნახევარს ილაპარაკა მუნიციპალურ პროგრამაზე. სამწუხაროდ ორატორმა თავი ვერ შეიკავა და ხშირად გადმოგვკრავდა ხოლმე. დღეს აქ გამოვლენ ქურქებში გამოხვეულები, რომლებიც სოციალისტობასაც კი იჩემებენ, მაგრამ თქვენ არ დაუჯეროთო. ამ სიტყვებმა ხალხის მხრით პროტესტი გამოიწვია: „დაასახელეთ, დაასახელეთ ვის გულისხმობთო“. უყვირა ხალხმა. ორატორი იძულებული იყო განემარტა, რომ პირდაპირ არ უნდა გაიგოთ, როცა „დღეს“ ვლაპარაკობ, მე საერთოდ ვლაპარაკობ სოლოლაკელებზე.

გაათავა თუ არა ლაპარაკი ნ. ხომერიკმა, დატრიალდა სამიოდე ყმაწვილი და დასჭყივლეს ხალხს: კრება გათავდა, შინ წავიდეთო, ასტეხეს ღრიანცელი, მაგრამ ვერას გახდნენ. თავმჯდომარემ აღადგინა წესიერება და მისცა სიტყვა ჩაწერილს ამხ. მ. საყვარელიძეს. ხალხმა ვაშას ძახილით და ტაშის გრიალით უპასუხა ორატორს. სოც.-დემოკრატებმა კი დასძახეს: „ძირს, ძირსო“, მაგრამ კრების დიდმა უმრავლესობამ ზიზღი გამოუცხადა მათ და მყისვე ჩააჩუმეს. მის შემდეგ ილაპარაკა ამხ. ქ. რაჭველიშვილმა. აქაც ასტეხეს განგაში სოც.-დემოკრატებმა, მაგრამ ორატორმა მაინც დაასრულა თავისი სიტყვა და კრებამ ვაშას ძახილით უპასუხა,

ხალხში თანდათან ძლიერდებოდა თანაგრძობა სოც.-ფედერალისტებისადმი და ნ. ხომერიკი კიდევ შეეცადა ამ შთაბეჭდილების ჩაქრობას. აქ ლამაზი სიტყვებით, მჭერმეტყველობით უნდათ მოგხიბლონ, თორემ სოციალისტები არ არიანო; იმათი ორატორები ბევრია და მე მარტო ვარო და მოითხოვა უკანასკნელი სიტყვა მე უნდა მომცეთო. თავმჯდომარემ, ამ. ჭუმბაძემ აღუთქვა უკანასკნელი სიტყვა მისთვის მიეცა, მაგრამ ჩაწერილი იყო კიდევ ამხ. ა. პაპავა რომელმაც სიტყვა აიღო. ამხ. პაპავა შეეხო სოციალისტ-ფედერალისტთა აგრარულს პროგრამას, განმარტა იგი და კრებამ იგიც ტაშით დააჯილდოვა.

შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ნ. ხომერიკს, რომელმაც უკვე წაიხსნა ალვირი, საშინელს, მისთვის ჩვეულს დემაგოგობას შეუდგა და დინჯი კრიტიკის ნაცვლად ლანძღვა დაიწყო სოც.-ფედერალისტების პარტიისა.

ხალხი ხშირად აწყვეტინებდა ნ. ხომერიკს სიტყვას და უძახოდა: „სიცრუეა, ტყუილიაო“.

გაათავა ხომერიკმა სიტყვა და სოც. დემოკრატებმა ისევ ასტეხეს ყვირილი: „წავიდეთ, წავიდეთ, ნუღარ მოუსმენთ ფედერალისტებსო“. ამ ყვირილში და ღრიანცელში დიდს მონაწილეობას იღებდნენ უქმოდ თოთხმეტ-თუთხმეტი წლის ყმაწვილები, რომელნიც მიტინგამდე იქვე მტკვარში ჭყუმპალაობდნენ, მაგრამ მათაც ვერაფერი გააწყეს; ხალხი ვერ დაფანტეს და თერთმეტ საათამდე ყურს უგდებდნენ სოციალისტ-ფედერალისტ ორატორებს—შეეცადათ ჩვენმა ამხანაგებმა რომ დაეძახნათ: ქუმბათიტეების გეშინიათ, ლაჩრები ხართ და გარბიხართო, მათაც ისევ დარჩენა ამჯობინეს.

ამხანაგმა ჭუმბაძემ რამოდენიმე რუს ჯარის-კაცთა თხოვნით რუსულად განმარტა ჩვენი პარტიის აგრარული პროგრამა, რასაც ტაშით უპასუხეს. საინტერესოა ის რეპლიკები, რომლებსაც ნ. ხომერიკს ხალხიდან აძლევდნენ.

როდესაც ხომერიკმა დაცინვით მოიხსენია სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობის მიერ მიღებული მიწის სოციალიზაცია, ხალხიდან დაუყვირეს: „აგრე თუ იყო ჩხეიძემ და პლეხანოვმა რატომ დაიდგეს საბჭოში ყუთიო“ „ახლა ასე იმიტომ ლაპარაკობთ, რომ ჩხეიძემ სამი ხმა მიიღოო!“

სოციალისტ-ფედერალისტები გუშინ „დანებით ებრძოდნენ დაშნაკცაკანებს და დღეს კი მათთან კავშირი აქვთო“, იძახა ნ. ხომერიკმა.

ხალხმა რა თქმა უნდა არ დაუჯერა ეს სიცრუე და ვიღამაც მოაგონა: „ცხრა ხმა თქვენს ჩხეიძეს სწორედ სოლოლაკელებმა მისცესო“ და სხ. და სხვ.

ღამის თერთმეტ საათზე ამხ. ჭუმბაძემ მიტინგი დახურულად გამოაცხადა. საიდაც გამოჩნდნენ კიდეც ხომლერლებიც, შემოეხვივნენ სოციალისტ-ფედერალისტთა ორატორებს და სარევოლიუციო სიმღერებით გამოსწიეს შინისკენ.

მოხსენება ეროვნულ საკითხის შესახებ ესერების კონფერენციაზე

ესერების კონფერენციაზე წაიკითხეს მოხსენება ეროვნულ საკითხის თაობაზე, რომლის მთავარი დებულებანი შემდეგი იყო:

1) რუსეთი მრავალ ეროვნებათაგან შესდგება: ა) რომელთაც ოდესღაც სახელმწიფო ჰქონიათ, ბ) რომელთაც სახელმწიფო არა ჰქონიათ გ) რომელთაც ტერიტორია არა აქვთ.

2) ერი და სახელმწიფო ერთი და იგივე არაა. აგრეთვე ერთი არაა რუსეთი—ერი და რუსეთი—სახელმწიფო.

3) ერს სხვა და სხვანაირად ახასიათებენ (რასა, ისტორია, ენა, ტერიტორია) არც ერთი გარემოება არაა დამაკმაყოფილებელი. ნაციის უფრო სუბიექტიური თვისებები ახასიათებს,

დენიმე წლიწადში. თუ დანახარჯს წევრი მალე ვერ მიიღებს, მაშინ ვადას უგრძელებენ 5—8 წლამდე; სესხს აძლევენ უთავდებოდ და თავდებობით თვითონ კოოპერატივები სესხულობენ ფულს $^1/_2$—$5^1/_2$, ხოლო წევრებს ართმევენ 5 ნახ. 5%; როგორც ხედავთ, ფინლანდიის საკრედიტო ამხანაგობებს დიდი მოგება არა აქვთ; ამიტომაც მალე ვერ შეადგენენ ხოლმე საკუთარ თანხას; შემოტანილ პაის ფულზე წევრებს აძლევენ 5%; დანარჩენს მოგებიდან—ნაწილს საკუთარ სათადარიგო თანხის შედგენას ანდომებენ, ნაწილს კი ეგრედწოდებულ „სადისპოზიციო“ ფონდს უმატებენ—რომლის დანიშნულებაა საერთოდ სასარგებლო საქმის განხორციელება-დახმარება.

საკრედიტო კოოპერატივები მხოლოდ ფულის გასესხებას როდის ჯერდებიან—ისინი ყიდულობენ წევრთათვის საჭირო საქონელს იაფ-ფასად და კარგს ფასებში ასაღებენ წევრთა ნაწარმოებს.

—

ფინლანდიის ბუნება ძალიან ხელს უწყობს საქონლის მოშენებას და მის გარფიანობას. განსაკუთრებით სასარგებლო გახდა მეწველ საქონლის გაშენება, როდესაც სოფლის ხალხმა საზიაროდ დაიწყო საქმის წარმოება.

ამ ხანად ფინლანდიაში 362 მერძევეების კოოპერატივია. (1911 წლის 1 იანვრისათვის).

მერძეების კოოპერატივები დაარსებულია ფინლანდიის სამხრეთ-დასავლეთის დასავლეთის და შუა ნაწილში; შედარებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ფინლანდიის დასავლეთის და შუა ნაწილში არსებული მერძეობის კოოპერატივებში წევრები აბარებენ რძეს, ხოლო აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთის კოოპერატივებში, სადაც ხალხი უფრო გაფანტულად სცხოვრობს, წევრები აბარებენ საკუთარ მანქანებით მოხდილ არაჟანს (თვითეულ ოჯახს აქვს თავისთვის პატარა არაჟანის მოსახდელი მანქანა „სეპარატორი“), და ზოგან კი რძესაც და არაჟანსაც; ფინლანდიაში არსებულ მერძეობის კოოპერატივებთაგან 60% ღებულობდა მხოლოდ რძეს, 26%—არაჟანს და 14% რძესაც და არაჟანს.

საწევრო გასახადს ამ კოოპერატივებში წევრები იხდიან მის და გვარად, ვის რამდენი ძროხა ჰყავს; არსებულ კოოპერატივებთაგან 45% თვითეულ ძროხაზე დაწესებულია 9 მანეთი (20 მარკა), 40%—4 მ. 50 კ. 8 მანეთი (10—16 მარკა) და 15% ამაზე ნაკლები.

ეს გადასახადი წევრებს ერთბაშად კი არ შეაქვთ, არამედ ნაწილ-ნაწილად—ჩაწერის დროს მცირე ნაწილი, დანარჩენს ურიცხავენ მიღებულ რძეში კუთვნილ ფულიდან.

ფინლანდიის მერძეობის კოოპერატივებმა საწევრო გადასახადის გარდა, დაადგინეს (80%) შეიტანონ ამხანაგობაში კიდევ დამატებითი გადასახადი თვითეულ ძროხაზე. ამ ამხანაგობათაგან 42% დაწესებული დამატებითი გადასახადი თვითეულ ძროხაზე 4 მ. 50 კ. 9 მ. (10—20 მარკა), ხოლო დანარჩენში—13 მ. 50 კ. საქმის რიგიანად საწარმოებლად ფინლანდიის გარემოებაში მოქმედ კოოპერატივებში მიიჩნიეს საჭიროდ თვითეულ ძროხაზე საპაიო გადასახადი (საწილო ფული) 9 მან. (20 მარკა) და დამატებით გადასახადი 13 მ. 50 კ. თვითეულ ძროხაზე.

მაგრამ რადგან ამ დონეზე საპაიო და დამატებითი გადასახადების დაყენება ძლიერ ძნელი აღმოჩნდა ხოლო კრედიტის შოვნა სხვა მხრივ საძნელო გახდებოდა, საზოგადოება „პელლერვო“ რჩევის თანახმად, მერძევეობის კოოპერატივებმა შემოიღეს დამატებითი პასუხისმგებლობა; არსებულ კოოპერატივთა 40%—შემოიღო განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა და 20% — განსაზღვრული — თვითეულ ძროხაზე 9 მ 22 მ. 50 კ. (10—50 მარკა).

ფინლანდიის მერძევეობის კოოპერატივები არ არის დიდი, უმეტეს წილ ამხანაგობებს 60% ჰყავდა თვითოეულ 10—6„ წევრი. 43%—61—150 წევრი და მხოლოდ 20%—200-დან 600-დე.

წევრთა უმეტესობა წვრილი გლეხობაა, მაგალითად, წევრთაგან მხოლოდ 10% ჰყავდა 15 და მეტი ძროხა თვითეულს, პირიქით 51%-ს 4—15 ძროხა და 39%—1—3 ძროხა; ისე, რომ თვითეულ კოოპერატივზე რომ ვიანგარიშოთ, ამხანაგობათა საერთო რიცხვიდან 10 პროცენტი ჰყავდა 50—200 ძროხა, 50 პროც.—200—300 ძროხა და 20 პროც.—101—3000 ძროხა; ამხანაგობათა 80 პროც. ჰქონდა არაჟანის მოსახდელი მანქანა და 20 პროცენტს—რადიატორები (არაჟანსაც ჰხდის და ხელადვე კარაქსაც აკეთებს); ამ მანქანებს ამუშავებდნენ კოოპერატივების საერთო 64 პროც. ორთქლის ძალით, 5 პროც. წყლის ძალით, 18 პროც. ცხენის ძალით და 11 პროც. ხელით ამუშავებდნენ.

სამი კოოპერატივი ამუშავებდა მანქანებს ელექტრონის ძალით.

რამდენს რძეს იღებდნენ და ამუშავებდნენ კოოპერატივები? ყოველდღიურად მერძეობის ამხანაგობათა 34% ღებულობდა $10^1/_2$ ფუთ რძეს (1000 კილოგრამი) 41% ღებულობდა $10^1/_2$—$31^1/_2$ ფუთ რძეს (1001—30.0 კილოგრამი), 21% ღებულობდა $31^1/_2$ ფუთიდან 72-ნახევარ ფუთამდე; 6 კოოპერატივს მოსდიოდა ყოველდღიურად 73.ნახევარ ფუთზე მეტი.

თვითოეულ ძროხაზე რომ ვიანგარიშოთ, მერძეობის კოოპერატივებთაგან 22 პროცენტში მოდის თვითეულ ძროხაზე 36 ფუთი რძე, 50 პროც. ამხანაგობაში 36 ფუთიდან 72 ფუთამდე და 22 პროც. 72 ფუთიდან 96 ფუთამდე; მხოლოდ 15 კოოპერატივში მოდიოდა თვითეულ ძროხაზე 96 ფუთზე მეტი წელიწადში.

კოოპერატიული სარძევე ქარხნის მოწყობილობა მოითხოვს სხვა და სხვა ხარჯს, იმისდა გვარად თუ რამდენია წარმოება.

35 ამგვარ საამხანაგო სარძევე ქარხანის მოწყობა დაუჯდა 22,500 მანეთი, თვითეულს, 60 კოოპერატივს 13,500 მანეთიდან—22,500 მანეთამდე, ხოლო 65 წვრილ კოოპერატივს, სადაც მუშაობა სწარმოებდა ხელით ან ცხენის ძალით, მოწყობილობა დაუჯდა 2250 მანეთი თვითეულს.

ცხადია, რომ წვრილ მესაკუთრე გლეხთაგან შემდგარს ამხანაგობას ძნელად თუ მოეპოვებოდა საქმის მოსაწყობად საჭირო თანხა; ამიტომ ამხანაგობანი იძულებული იყვნენ ესესხნათ გარედ ფული; ფინლანდიის მთავრობა ძალიან მნიშვნელობას აკუთვნებდა ამგვარ ამხანაგობებს და მათ დასახმარებლად გადასცა 900,000 მანეთი (2,000,000 მარკა) მეტი ამხანაგობათათვის შეღავათიან სესხის მისაცემად, ხოლო შემნახველ გამსესხებელ კასსებმა ასესხეს 1,350,000 მანეთი. ამიტომაც არის, რომ მარტო 222 ამხანაგობის ქონება (1907 წლის ცნობით) უდრიდა თითქმის 3 მილიონ მანეთის ღირებულებას (6,022,000 მარკას). ხოლო საკუთარი თანხა ჰქონდათ 900,000 მანეთი, ხარჯების რაოდენობა, გაწეული წარმოებაზე უდრიდა 14,4 პროც. იმ თანხისა, რომელიც მიღებულ იქმნა ნაწარმოების გაყიდვიდან, ასეთი დიდი ხარჯი აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმით რომ ხალხი მჭიდროდ კი არ არის დასახლებული, არამედ გაფანტულია დიდს მანძილზე; რძეს ეზიდებიან ხშირად 2—20 კილომეტრის მანძილიდან, არაჟანს კი 20—45 კილომეტრის სიშორიდან, ხოლო ზოგიერთს კოოპერატივზე რკინის გზა დაშორებულია 30—45 კილომეტრით, ხანდახ 80 კილომეტრითაც.

—

ასეთია მოქმედება და აგებულება ფინლანდიის უმთავრეს კოოპერატივებისა.

ამათ გარდა არსებობს კიდევ მრავალი კოოპერატივი სხვა და სხვა დანიშნულებისა, მაგრამ ამაზე საუბარი შემდეგისათვის გადავდოთ.

ე. კარბელაშვილი.

თვითგამორკვევა ცალკე პიროვნებებისა.

4) ბურჟუაზიულ მიმართულებებს აქვთ თავისი სახელმწიფოებრივი გაგება ერისა. სოციალისტებს არ შეუძლიანთ ნაციის არსებობა უარჰყონ და ამიტომ უნდა იზრუნონ კიდევაც ერის საკითხის გადაწყვეტისათვის.

5) ნაცია არ არის სოციალურ-კულტურული წრე პიროვნებისათვის. ხალხის კულტურა და შემოქმედება უეჭველია ჰგულისხმობს ერის და ენის არსებობას.

6) ამიტომ ნაციის განვითარება მშრომელი ხალხის მიზანია. ერის გარეშე განვითარება გამონაკლისებს თუ შეუძლიანთ.

7) ეროვნული ჩაგვრა ასუსტებს კლასთა ბრძოლას ნაციის შიგნით და ბურჟუაზიასა და მშრომელ ხალხს აერთებს.

8) მსოფლიოს კულტურა ვითარდება თავის ნაწილების (ნაციების) განვითარებით. ამიტომ ჩვენი იდეალია არა კოსმოპოლიტიზმი, არამედ ინტერნაციონალიზმი.

9) ამნაირად ერის მისწრაფება ეთანხმება სოციალიზმის მიზნებს და მისწრაფებას.

10) რუსეთში ყველა ერს უნდა ჰქონდეს თვით-გამორკვევის უფლება. მისი ფორმები (ტერიტორიალური ავტონომია, პერსონალური—ექსტერიტორიალურ ნაციათა სეიმები და ფედერაცია) გამოირკვევა ყოველ ცალკე ერის დამფუძნებელ კრებაზე და დამტკიცებულ იქნებიან საერთო სახელმწიფო დამფუძნებელ კრების მიერ.

11) უტერიტორიო ერებს და ნაციონალურ უმცირესობებს საუკეთესოდ დააკმაყოფილებს პერსონალური ავტონომია.

12) საერთო სახელმწიფოებრივ, საოლქო და მუნიციპალიტეტებში საჭიროა აღიარება ეროვნებათა ენის უფლებისა და ეროვნულ საჭიროებათათვის ბიუჯეტიდან პროპორციონალურად ხარჯის გადადება.

წერილი ლანჩხუთიდან.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, დ. ლანჩხუთში მომხდარ სოციალისტ-ფედერალისტთა პოლიტიკურ კლუბის დარბევის შესახებ, შეერთებულმა სხდომამ ადგილობრივ აღმასრულებელ კომ. ს. დ. და ს. ფ. პარტიების წარმომადგენლებმა დაადგინეს მოეწვიათ დ. ლანჩხუთში ფართო საზოგადო კრება დაეგმოთ ასეთი შავრაზმული და ხულიგანური გამოსვლები, აეხსნათ ხალხისთვის, რომ სოც. ფედერალისტები არ არიან თავად-აზნაურების და ბურჟუაზიის იდეოლოგები და სხვა. კვირას 11 ივნის მოწვეულ იქნა ფართო საჯარო ყრილობა ლანჩხუთის რაიონის საზოგადოებისა. თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა. ჯერ-გარჩეულ იქნა სხვა კერძო საკითხი, რის შემდეგ სოციალ-დემოკრატების სახელით კრებას მიმართა კალე ჟღენტმა სოციალისტ-ფედერალისტების კლუბი დარბევის შესახებ. მოკლედ გააცნო ხალხს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დღევანდელი პოზიცია და აღნიშნა, რომ სოციალისტ-ფედერალისტები არიან ისეთივე პოლიტიკური რევოლიუციონური და სოციალისტური პარტია-როგორც სხვა სოციალისტური პარტია—მართალია ჩვენ სოც.-დემოკრატები მათ ვებრძვით, მაგრამ ვებრძვით კულტურული საშვალები, ჩვენ მათთან გვაქვს ბრძოლა იდეიური. ჩვენი და სოც.-ფედერალისტების ბრძოლის მიზანი არის თუ როგორი და რა გზა არის უკეთესი მშრომელი ხალხის სამერმისიო მომავალისათვის. ჩვენ ერთი გზა მიგვაჩნია საუკეთესო, მათ კი მეორე გზა და ასეთ პარტიის წინააღმდეგ გამოსვლა ასეთ ხულიგნური საშვალებით არის უსასტიკესი დანაშაული იმ პირებისა-რომლებიც ამას ჩადიან და მით ხელს უშლიან დღევანდელ რევოლიუციონურ მოძრაობას. შემდეგ კ. ჟღენტმა აუხსნა ხალხს თუ როგორი შავრაზმული და ხულიგანურია ასეთი გამოსვლები და მოუწოდა ხალხს, რათა მასაც დაეგმო და ზიზღი გამოეცხადებინა იმ პირებისთვის. რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კლუბის დარბევაში.

შემდეგ ამისა ლაპარაკობს ადგილობრივ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახელით ამხანაგი მიხ. იმნაძე. აღნიშნა მოკლედ სოც.-ფედერალისტთა პარტიის პოზიცია დღევანდელ რევოლიუციის დროს-შეეხო ზოგიერთ პროგრამულ მუხლს რათა გაექარწყლებინა ყოვლად შეუწყნარებელი პროვოკაციული ხმები. საზოგადოება დიდის ყურადღებით ისმენდა ორატორების სიტყვებს. ხშირათ გაიგონებდით აქ იქ გლეხების ჯგუფებში გაკვირვებულ ლაპარაკს-რომ ვცდებოდით და გვატყუილებდნენ ზოგიერთები როცა გვეუბნებოდნენ ფედერალისტებს სურთ ბატონ-ყმობაო...

აკი სოც.-დემოკრატმა სთქვა ეხლა აგერ კრებაზე მათ ეგ არ უნდათ, არამედ პირიქით იბრძვიან ჩვენდა სასარგებლოთ ხოლო სხვა გზით“-ო მართალია ასეთ ორ სიტყვას არ შეუძლიან საზოგადოება—შეუგნებელი მასსა გაათვითცნობიეროს და ცოტა-თუ ბევრად ნათლად წარმოიდგინოს ამა თუ იმ პარტიის შეხედულებანი, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ ხალხი რომელიც სოციალისტ-ფედერალისტებს უწოდებდა ბატონ-ყმობის აღმადგენელს და თავად-აზნაურთა და ბურჟუათა იდეოლოგს ამას მაინც აწი არ გაიმეორებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სოციალ დემოკრატები ანგარიშს არ უწევდენ შეერთებულ კრების მიერ გამოტანილ რეზოლიუციას.

ქართული სიტყვა კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭოსა და მწერალთა საგანგებო კომისიისაგან შემდგარი ბიურო

კვირას 9 ივლისს იწვევს ქართულ კაზმულ-ლიტერატურის მწერლების ყრილობას ქ. ტფილისში. ახალი კლუბის დარბაზში დღის 12 საათისთვის. ყრილობაზე დასწრების უფლება აქვთ მგოსნებს, ბელეტრისტებს, კრიტიკოსებს, დრამატურგებს და მთარგმნელებს.

ბიურო მოუწოდებს ქვემო მოხსენებულ პირთ წინასწარ მიიღონ ბიუროსგან ყრილობაზე დასასწრები ბარათები.

ა

აბაშიძე კიტა,
აბაშიძე მემედ,
აბაშიძე ჰაიდარ.,
აბაშიძე ვასო,
აბაშელი ს.,
აბაშისპირელი კ.,
აბრამიშვილი მიხ.,
აბხაზი ივ.,
აგლაძე ილია,
ადამაშვილი მ.,
ავალიშვილი ნიკ.,
აზიანი,
ამირეჯიბი შალვა,
ანდრონიკაშვილი ილია,
ანტონოვსკისა ელ.,
არაგვისპირელი,
ახალციხელი გ.,
ახვლედიანისა დარია,
ახნაზაროვი ა.,
ახოსპირელი,
ახობაძე ლ.,

ბ

ბაბილინა,
ბარველი ვანო,
ბარნოვი ვას.,
ბაქრაძე ელ.,
ბებიაშვილი რ.,
ბაჩანა,
ბოჭორაშვილი მ.,

გ

გოგოლაძე ს.,
გაბაშვილისა ეკატ.,
განდეგილი,
გარდელი,
გარიყული მარ.,
გელეიშვილი პეტრე,
გარრიკი ვ.,
გაფრინდაშვილი
გედევანიშვილი ი.,
გელა,
გერასიმიძე ალ.,
გვაზავა გ.,
გლახაშვილი,
გოგია ილია,
გომართელი ივ.,
გორგაძე ს.,
გორგაძე ვ.,
გრიშაშვილი ი.,
გულისაშვილი იერ.,
გუნია ვალ.,

დ

დადვაძე პ.,
დადიანი შოთა,
დადიანი სამსონ,
დადიანი შალვა,
დავითაშვილი შიო,
დათიაშვილი გ.,
დეკანოზიშვილი ანდრ.,
დიასამიძე გიგო,
დოდაშვილი კოტე,

ე

ედილი ზ.,
ეკალაძე ია,
ელეფთერიძე ი.,
ერისთავ-ხოშტარიასი,
ერისთავი დიმიტრი,
ერისთავი კოწია,
ეგნატაშვილი ვ.,
ერთაწმინდელი ს.,
ეშმაკი,

ვ

ვარდოშვილი ხ.,
ვართაგავა იპ.,
ვერმიცანაშვილი,
ვეშაპელი გ.,

ზ

ზომლეთელი,
ზურაბიშვილი ივ.,
ზანგი,
თავისუფალი სვანი.

თ

თომაშვილი დ.,
თუმანიშვილი გ.
თუმანიშვილი წერეთლისა
თურდოსპირელი დ.,

ი

იასამანი,
იაშვილი პ.,
ინბანი,
ინგოროყვა პ.,
ირეთელი,

კ

კასრაძე დ.,
კლდიაშვილი დ.
კოსტან-ანდრონი,
კოტეტიშვილი ვ.,
კურდღელაშვილი ნ.,

ლ

ლალიონი,
ლეგატუს,
ლეჩხუმელი რ.,
ლეონიძე გ.,
ლიხელი დ.,
ლორთქიფანიძე ნ.,

მ

მალაქიაშვილი ფ.,
მარიჯან,
მაყაშვილი კ.,
მაჭავარიანი ივ.,
მგალობლიშვილი ს.,
მეგრელი დუტუ,
მევველე,
მელანია,
მესხი დავ.,
მესხი ეფ.,
მეუნარგია იონა,
მეტრეველი დ.,
მეჩანგურე დ.,
მირიანაშვილი პ.,
მიქელაძე კატო, მწ.,
მირიანაშვილი ალ.,
მუმლაძე გ.,
მღვიმელი შიო,
მჭედლიშვილი ი.,

ნ

ნადირაძე ნ.,
ნაკაშიძე ნინო,
ნათაძე ლეო,
ნაკაშიძე ილია,
ნასიძე მიხ.,
ნახუცრიშვილი დავ.,
ნიკიტინი ალ.,
ნიკოლაიშვილი იას.,
ნიკოლაძე ნიკო,

ო

ობოლი მუშა,
ოლბეჟ (აგლაძისა),
ორბელიანი ნინო,
ორბელიანი ელის.,

პ

პაპავა აკ.,
პოლუმორდვინოვი ივ.,
პონტელი ილია.

ჟ

ჟურული გიორგი,

რ

რაჭველი იასე,
რაზიკაშვილი თედო,
რამიშვილი ტ.,
რემონიძე ს.,
რობაქიძე გ.,
რუხაძე ილია,
რაჭველი ქრისტ.,
რუს-იმერელი,
რუშაველი ფ.,
რუხაძე ვარ.,

ს

სანგანიძე,
საჯავახოელი რ.,
სახოკია თ.,
სევდიანი,
სევდია,
სიხარულიძე ი.,

ტ

ტატიშვილი ი.,
ტაბიძე გალაქტიონ,
ტაბიძე ტიციან,

ფ

ფაილენიშვილი რევ.,
ფანცხავა იაკ.,
ფაღავა აკ.,
ფაშალიშვილი ს.,
ფერაძე ილია,
ფოცხვერაშვილი კ.,

ქ

ქავთარაძე პეტრე,
ქართველიშვილი შალვა,
ქვარიანი ს.,
ქიაჩელი ლეო,
ქიქოძე გერ.,
ქნარი,
ქუჩიშვილი გ.,

ყ

ყანჩელი ალ.,
ყიფიანი ვას.,
ყიფიანი პალიკო,
ყიფიანი ქაიხ. (ქოჩო),
ყიფიანი ნინო,
ყიფიანი კოტე,
ყიფიანი პეტრე,
ყიფიანი სამსონ,
ყიფშიძე გრ.,

შ

შალიკაშვილი ვ.,
შანშიაშვილი ალ.,
შარაშიძე შალვა,
შარვაშიძე გიორგი,
შიუკაშვილი ლ.,

ჩ

ჩიანელი დია,
ჩხიკვაძე ნ.,

ც

ცახელი,
ცვარნამი,
ცირეკიძე,
ცქვიტი,

წ

წეველ,
წერეთელი ალ.,
წერეთელი ელ.,
წუთისოფლელი კირ.,
წულაძე აპ.,

ჭ

ჭანტურიშვილი ს.,
ჭიჭინაძე კ.,
ჭუმბაძე არისტოს,
ჭუმბურიძე გ.,
ჭყონია ილია,

ხ

ხეჩუაშვილი,
ხომლელი,
ხუნდაძე,
ხუსკივაძე,

ჯ

ჯავახიშვილი ივანე (პროფ.)
ჯაბადარი გიორგი,
ჯაფარიძე ლელი,
ჯიბილა რ.,
ჯორჯიკია ჯაჯუ.

შენიშვნა: ეს სია სრული არ არის, (ვინაიდან სწორი ცნობები არ არსებობდა), ამისათვის ბიურო სთხოვს იმ მწერლებს, რომელნიც არ მოხვდნენ რაში სცდებიან ეს ბიუროს 1 ივლისამდის. პირადი მოლაპარაკება შეიძლება: ბიუროს თავჯდომარე კოტე მაყაშვილთან, კარლამ რუხაძესთან, ლეო ქიაჩელთან, კონსტან გამსახურდიასთან, შალვა დადიანთან, წერილობით მიმართონ ბიუროს მდივანს: ტფილისი ფოსტის ყუთი 190. კონსტან გამსახურდიას.

ყრილობის მომწვევი ბიურო: თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, მდივანი: კონსტან გამსახურდია. წევრები: შალვა დადიანი, ვარლამ რუხაძე, ლეო ქიასელი დ. ლიხელი და სიტყვა კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო.

ტფილისი, 1917 წ. 15 ივნისი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისისა).

ტფილისიდან გადის:

ბათომისაკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დილ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4.3	11.13	საღ.
თელავისკენ		№ 4,	9	დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათომიდან	სამგზ.	№ 10,	9.25	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
გორიდან	სამგზ.	. .	6.34	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა.
ქუჩა № 4. სასტუმრო ... ფილეფ. 15—00.
1008

შაბიამანი
99% იყიდება
საწყობში. მიმართეთ 9—3 საათამდე დილისა, „ორიანტი“, № 32.

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ., 18, ტელეფონი 11—82.

ექიმი ქალისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელეფ. 16—67.

ექიმი მღვდელი
ს. ა. ლეჟავა
შინაგანი, ბავშვების და კანის ავადმყოფებს, იღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა, დილით 8—10 ს. საღამოთი, 5—7 ს.
ელისაბედის ქუჩა № 52. 1158

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სამებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

ექიმი
ლ. დ. ფავლენიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი
ზ. ზ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, თმაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-დე. მხიეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 437

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილ
ორდინატორად ნამყოფი კოჩეის ს
გების კლინიკაში. იღებს წერ
ავადმყოფებს ახალ ბინაზე, სა
6—7 საათამდე, კვირა დღის გარ
ვერის მოედანი, ექიმი სობოლ
კის სახლი. იქვე გამართულია
ტრონის სამკურნალო კაბინეტი.
ლეფონი 6—54.
1084

ექიმი
მ. დ. წინამძღვარიშვილ
უფროსი ორდინატორი თერაპევ
ლი კლინიკებისა, ხარკოვის უნივე
ტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტ
შინაგანი სნეულებანი. გულისა,
ტებისა და სისხლის ხნეულ. სპეცია
რად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველ
გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის
№ 86, მეორე სართული.
105

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილ
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუს
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ
სნეულებიან ავადმყოფებს იღებს 9
საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 10

ექიმი
ვ. მუსხელიშვილ
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საა
ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ყორღანოვის მგზლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს.
ვენერიული და ვენერიული
ავადმ.).
ბ. გ. აგაპაროვი: 9½—2 ს. ბავშ
შინაგანი ავადმ.
მ. მ. შენგელაია: 10—12 ს.
ხა, გულისა და ცხვირის ხნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს.
ავადმ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ.
თვის უფასოდ, კონსულტაციები და
რეცეპტები შერიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინ
დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქ., საკ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრულებით ცოტა რილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის მაიები. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის თართი, ზარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი სერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. გრძლივ ინახება. 1035

ქარების (რევმატიზმის)
ნეკრისის
თირკმელების (ჭაჭების)
და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უტაუში“, სრუ უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „გუტაში“ 5 მან. 50
მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „გუტაში“ სხვა ქალ
იგზავნება ხუთ მანეთის ზეს შემდეგ.
დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარ საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებას.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16. განყ. 6—1, სახელ
ფო ბანკის მახლობლად.
Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Т
лисъ, Лорисъ-Меликовская № 16 отд. 6—1. противъ Государственн
Банка.

გორის საურთიერთო კრედ
ტის საბჭო და გამგეობა
ამით აუწყებს ბ.ბ. საზოგადოების წევრებს, რომ 29 ივნისს ამ 1 წლისას დღის 11 საათზე საზოგადო საკრებულოს დარბაზში, ბაღში და შნულია წევრების საზოგადო კრება შემდეგი საკითხების განსახილველად.
1) საზოგადოების გამგეობისა და საბჭოს მოხსენებანი საზოგადო საქმეებზე.
2) 1916 წლის ანგარიშის განხილვა, და დამტკიცება, წმინდა მოგ განაწილება.
3) 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4) კენჭის ყრით სამსახურიდან გადადგომილ წევრების ან. მემ ლის, პ. კ. ჯაფარიძის, კლიმიაშვილისა ნაცვლად სამი საბჭოს წევრის ჩევანი.
5) გამგეობის ერთი წევრის არჩევა მორიგეობით გადამდგარ ტიაშვილის ნაცვლად.
6) სარევიზიო კომისიის სამი წევრის და კანდიდატის არჩევანი, 1 წლის ნავარაუდევ ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. და სხვა ამ ხებთან წარმომდგარი საკითხის განხილვა.
თუ პირველი კრება არ შესდგა, მეორე კრება დაინიშნება 16 სისათვის იმავ შენობაში. მეორე კრება კი კანონიერი იქნება ქ ხედავად.
2027
საბჭო და გამგეობა.

სტამბა „სახალხო ფურცელი“ ბარონის ქუჩა, სახლი № 14.